


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბატონი ბეჭდუდი სიფყაა, ფეოლოდით და ჭბობით ბურთის გაფანა ყელა უჯარბისბაზე უხაბაგლესია.

ხუთშაბათი, 15 თებერვალი. 2018 წ. №33 (8434), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

7 **საშინალება ხდება, სოფლების ნახევარი მოსახლეობისგან დასარიელებულია!**

დემოგრაფიული ვაიმანი

ვარშავა სააკაშვილის ექსტრაღირების საკითხს არ განიხილავს

„რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, პოლონეთი მიხეილ სააკაშვილის ექსტრაღირების საკითხს არ განიხილავს. რუსული მედიის ინფორმაციით, სააკაშვილის ექსტრაღირებაზე საქმეს არც პოლონეთის გენერალური პროკურატურა და არც ვარშავის საოლქო პროკურატურა აწარმოებს. ოფიციალური განცხადებები ამ თემაზე, სააგენტოსთან საუბარში, ორივე უწყების წარმომადგენლებმა გააკეთეს.

მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ექსტრაღირების მოთხოვნით ქართულმა მხარემ პოლონეთს 2017 წლის აგვისტოში მიმართა. პოლონეთის გენერალურ პროკურატურაში განაცხადეს, რომ ექსტრაღირების საკითხს ვარშავის საოლქო პროკურატურა სწავლობს, თუმცა უწყების პრეს-მდივანმა ეს ინფორმაცია არ დაადასტურა.

მასხარა!..

3 **პოლიტიკურ ჯგუფებში სააკაშვილს უყურებდნენ როგორც ხმაურიან მასხარას!**

იტალიაში 83 წლის პენსიონერის სახლის ძარცვისას 25 წლის ქართველი დააკავეს

იტალიაში, ლომბარდიის რეგიონში 83 წლის პენსიონერის სახლის ძარცვისას 25 წლის ქართველი დააკავეს.

ადგილობრივი პოლიციის თქმით, ბოროტმოქმედმა სახლიდან დაუდგენელი ღირებულების ძვირფასეულობა და სამკაული მოიპარა. 25 წლის ქართველი სასამართლოს წინაშე უახლოეს დღეებში წარდგება. იტალიური მედიის ინფორმაციით, გამოძიება ამტკიცებს, რომ მას თანამზრახველიც ჰყავდა, რომელმაც მიმალვა მოახერხა.

2 **ემიგრანტი ქართველების უპილავი მუშაობის ენას ონლაინ-რეჟიმში ისწავლიან**

„ჩემი უპილის სიკვდილი პოლიტიკას არ უკავშირდება“!

ვიცხაძის რომ შვილი მომეკლა, ვიტყვოდი, ღმერთმა მომიზღო-მეთქი, – ამის შესახებ დოდო გუგუშაშვილმა ძმის სახლში განაცხადა, სადაც მისი შვილის ცხედარია დასვენებული.

გუგუშაშვილის თქმით, ეს არ ეხება პოლიტიკას. ცნობისთვის, დოდო გუგუშაშვილს შვილის გარდაცვალების შესახებ გუშინ შეატყობინეს.

4 **უოთხ გულბანი: უსხოური კოპანია დემონსტრირი ფასით იმარჯვებს ტენდერში და უხარისხო გზებს აგებს!**

6 **გორში ავტომანქანა მოზარდ მოგონებს დაეჯახა!**

გორში, შინდისის გზატკეცილზე ავტომანქანა სამ მოზარდს დაეჯახა. მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

gartli.ge-ს ინფორმაციით, სამივე მოზარდი სკოლის მოწაველა. ისინი სასწრაფო დახმარების მანქანით გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმის განცხადებით, გოგონებს სხეულის სხვადასხვა დაზიანებები აღენიშნებათ და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ვლადიმერ პუტინი ავიაკატასტროფას გადაურჩა!

რუსეთის პრეზიდენტის ვერტფრენი 2014 წლის 22 თებერვალს სოჭში ავარიულად დაეშვა. ამის შესახებ კიევის ობოლონის რაიონულ სასამართლოში, რუსეთის დუმის ყოფილმა დეპუტატმა ილია პონომაროვმა განაცხადა. ობოლონის სასამართლო უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის საქმეს განიხილავს, რომელსაც ბრალად სახელმწიფოს ღალატი ედება.

– როგორც მოგვიანებით ფედერალური დაცვის ერთ-ერთმა ოფიცერმა მითხრა, 22 თებერვალს პუტინმა სოჭთან ავიაკატასტროფას გადაურჩა. პუტინმა თვითმფრინავის უხეში დაშვება თავდასხმის მცდელობად შეაფასა, რომლის უკან შესაძლოა, უცხოელი სპეცსამსახურები მდგარიყვნენ“, – გაიხსენა ყოფილმა დეპუტატმა.

მისი თქმით, პუტინმა ჩათვალა, რომ მის ირგვლივ შეთქმულება მზადდებოდა, რადგან ამ დღეს ვიქტორ იანუკოვიჩი ქვეყნიდან გაიქცა.

„22-23 თებერვალს ღამით თათბირი მოენყო. განიხილებოდა უკრაინაში განვითარებული მოვლენები და სწორედ ამ თათბირზე დადგა საკითხი ყირიმის ანექსიის შესახებ. როგორც მომიყვნენ, თათბირზე მყოფთა უმრავლესობა ამას ეწინააღმდეგებოდა. გამოითქვა მო-

საზრება, რომ არსებობდა სამხრეთ ოსეთის მსგავსი აპრობირებული სცენარი, როდესაც მეზობელი ქვეყნის ტერიტორია სამხედრო, ან სამხედრო მხარდაჭერის გარეშე აცხადებს დამოუკიდებლობას და რომ რუსეთი ოფიციალურად აღიარებს ამ დამოუკიდებლობას, გადის დრო და რუსეთს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, მიიღოს თუ არა აღნიშნული ტერიტორია სახელმწიფოს შემადგენლობაში“, – განაცხადა ილია პონომაროვმა.

მისივე ინფორმაციით, თათბირზე მყოფებმა პუტინს უთხრეს, რომ ყირიმის ანექსია რუსეთის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, რაზეც პუტინმა უპასუხა „ეს საკითხები უნდა გადაწყდეს, ეს თქვენი სამუშაოა და დაჟინებით მოითხოვა ყირიმის ანექსია“.

USAID-ის მხარდაჭერილი ენერგოპროგრამები ხელს უწყობს საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას



პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მონაწილეობა მიიღო აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ახალი ენერგეტიკული პროგრამის პრეზენტაციას, რომელიც „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შენობაში გაიმართა.

ტნიორია, USAID-ის მხარდაჭერილი პროექტები კი ეხმარება საქართველოს დემოკრატიის მშენებლობის პროცესში და მოიცავს ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე.

ირაკლი კობახიძე: აშშ-ის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერა ძალიან მყარია!

— ასე აფასებს აშშ-ში ვიზიტს პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოში დაბრუნების შემდეგ. „მყარ მხარდაჭერაში მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როდესაც შედეგად ჩემი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. გვქონდა ჩვენ შეხვედრა სენატორებთან, კონგრესმენებთან, ანალიტიკურ ცენტრებთან, სხვა მხარდაჭერებთან ჩვენი ქვეყნის ამერიკის შეერთებულ შტატებში და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ საქართველოს მიმართ მხარდაჭერა არის ძალიან მყარი, არის ძალიან პოზიტიური დამოკიდებულება იმ ცვლილებების და რეფორმების მიმართ, რომელიც ხორციელდება საქართველოში და ეს იძლევა ძალიან დიდი ოპტიმიზმის საფუძველს იმასთან დაკავშირებით, რომ კიდევ უფრო გაღრმავდება ჩვენი ორმხრივი ურთიერთობები. 2017 წელი იყო, ნამდვილად, შესანიშნავი წელი ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით და ასეთი ტემპით გვინდა, გაავარჯყელოთ მუშაობა“, — განუცხადა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს.

დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე პროკურატურას „რუსთავი-2“-ის საქმეზე დაწყებული გამოძიების ხელშეწყობაში მხარდაჭერაში ადანაშაულებენ.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე მათ განაცხადეს, უწყებაში 2018 წელს დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა და საქმის მასალებიც გადასცა, თუმცა ამ დრომდე ბრალი არავისთვის წარუდგინა. დვალი და აქიმიძე მიმართავენ პროკურატურას, რაც შეიძლება სწრაფად გამოავლინოს ის პირები, ვინც მათ „რუსთავი-2“-ის წილი ძალიან დაათმობინა, რადგან საქმეს რამდენიმე თვეში ხანდაზმულობის ვადა ეწურება. აქიმიძეს და დვალს პრეტენზიები იუსტიციის მინისტრთანაც აქვთ.

დავით დვალი ამბობს, რომ იუსტიციის სამინისტროს სახელზე გაგზავნილი კითხვები გამოქვეყნებული აქვს სამინისტროს ვებ-გვერდზე, თუმცა ქართულ ვერსიაში გამოტოვებულია ის კითხვა, რომელიც ეხება „რუსთავი-2“-ის დამფუძნებლებს და იმ მფლობელებს, რომლებიც იყვნენ „რუსთავი-2“-ში. დავით დვალი სახალხო დამცველსაც მიმართავს.



ტექნიკური და ხარისხობრივი შესაბამისი ბაკრეპი საპროექტო დოკუმენტაციას მსვლელობა არ მიეცემა!



— ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მერიის მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის შესწავლამ და ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენეს, რომ არსებული სისტემა და მექანიზმი სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს ხარისხს.

სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების პროცესი დაინწყება, განხორციელდება მუდმივი ზედამხედველობა საპროექტო დოკუმენტაციის შესრულებაზე, მათ შორის ფარულ სამუშაოებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროექტის მაღალი დონეზე შესრულება. „ამ ინფრასტრუქტურული პროექტებით სარგებლობენ ჩვენი მოქალაქეები და შესაბამისად, მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოთ თითოეული პროექტის ხარისხი და თითოეული ადამიანის უსაფრთხოების დაცვა. მე გონია, რომ ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი და გამგებობასაც მინდა, მოვუწოდო, მაქსიმალური ყურადღება მიაქციონ ხარისხსა და ზედამხედველობას“, — დასძინა კალაძემ.

ნის წევრებთან დაკავშირებულ საქმის წარმოებაში მიღებულ მიკერძოებულ გადაწყვეტილებებს. მსგავსი ფაქტები ძალიან ცუდად აისახება თბილისის მერიის იმიჯზე და თანამშრომლების მუშაობის ხარისხზე. მე არაერთხელ განაცხადე და კიდევ ერთხელ გავიმოხრებ, რომ ჩვენ გვჭირდება მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალი და კეთილსინდისიერი ადამიანები, ვინც მოემსახურება ამ ქალაქს და აქ მცხოვრებ ადამიანებს. შესაბამისად, ასეთი ადამიანები, ვინც არაკეთილსინდისიერად მოქცევა, ჩვენთან არ და ვერ იმუშავენ! — განაცხადა კალაძემ.

მეტრო „პარკატილი“ მომხდარის ბაზო მერიიდან 5-6 პირს დაითხოვენ!

თბილისის მერიის ინფორმაციით, მეტროსადგურ „ვარკეთილში“ მომხდარი შემთხვევის გამო უწყებებიდან 5-6 პირის გათავისუფლება იგეგმება. ხოლო თუ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გამოიკვეთება სხვა პირების პასუხისმგებლობაც, კანონით გათვალისწინებული ნორმები მათ მიმართაც ამოქმედდება. თბილისის მერიის გადამწყვეტილებით, მეტროსადგურ „ვარკეთილში“ მომხდარი შემთხვევის გამო, დაუყოვნებლივ გათავისუფლებიან დაკავებული პოზიციებიდან ის ადამიანები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სატენდერო პროცედურებში. ამის შესახებ კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის გაუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

ო, ენავ, ჩემო...

საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისთვის ონლაინ-რეჟიმში ქართული ენის სწავლება იგეგმება. როგორც ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბიორბი ალიბაბაშვილი აცხადებს, ემიგრაციაში იზადება და იზრდება თაობა, რომელსაც, სამწუხაროდ, წარმოდგენა არა აქვს ქართულ კულტურაზე და ქართულ ენასაც ვერ ფლობს. მიუხედავად იმისა, რომ უცხოეთში ბევრგან გახსნილია საკვირაო სკოლები, ეს საკმარისი არ არის, რათა ჩვენმა მომავალმა თაობამ საზღვარგარეთ ქართული ისწავლოს. ალიბაბაშვილის თქმით, ჩვენი ემიგრანტების შვილებმა ქართული ენა კვალიფიციური სპეციალისტებისგან უნდა შეისწავლონ. რაც შეეხება ონლაინ-კურსების დაფინანსებას, გიორგი ალიბაშვილი ფიქრობს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამისთვის რესურსი გამოიანახება; ასევე, შესაძლებელია, ეს კომერციული საქმიანობის ნაწილი გახდეს. ალსანიშნავია, რომ რამდენიმე თვის წინათ შექმნილი ენის სახელმწიფო დეპარტამენტი 2018 წლის ბიუჯეტიდან ნახევარი მილიონი ლარით დაფინანსდება. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით, ამ დეპარტამენტში მოიუ-

ემიგრანტი ქართველების უპილავი ბუობლიურ ენას ონლაინ-რეჟიმში ისწავლიან

შავეთა რიცხვი 15 კაცის შემადგენლობითაა განსაზღვრული და 500 ათასი ლარიდან 400 ათასი ლარი სწორედ მათი შრომითი ანაზღაურებისთვისაა განკუთვნილი. ენათმეცნიერი, პროფესორი ავთანდილ არაბული For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ელექტრონული კურსების მიზნდება ქართველებისთვის თუ არა-ქართველებისთვის უაღრესად აქტუალურია. თუმცა მანამდე დისტანციურ სწავლებას მომზადდება, პროფესორული და ფინანსური რესურსები სჭირდება. უცხოეთში მცხოვრები ჩვენი დასაპორები ამ თვალსაზრისით არ არიან უზრუნველყოფილი, ჩვენი სახელმწიფო მათ ვერ აქცევს ყურადღებას, ქართველი საზოგადოებებიც ისე ცხოვრობენ, რომ უცხოეთშიც კი დაჯგუფებები აქვთ. თუმცა ჩვენი ემიგრანტები მუდმივად ინტერესდებიან იმით, რომ მათ შვილებს, შვილიშვილებს არ დაავინყდეთ ქართული

ენა. საამისოდ მათ სახელმძღვანელოც არა აქვთ, ამიტომ ამ ხარვეზს ელექტრონული ვერსია შეავსებს ან თანხის გადახდით, ან თანხის გადაუხდელოდ. „ქართული ენის შესწავლა არა მხოლოდ ემიგრანტი ქართველების სურვილია. გასულ ზაფხულს ისრაელში ყოფნა მომიწია და, იქ გაზრდილ ებრაელთა შთამომავლებსაც აქვთ სურვილი, ქართული შეისწავლონ. ჩვენ იქ შეგვხვდა ქართველი ებრაელი, რომლის შვილიშვილმაც ისწავლა ქართული იმის გამო, რომ პაპამისი საქართველოს შესახებ უყვებოდა. სხვათა შორის, დისტანციური სწავლება საქართველოშიც რომ განგვევითარებინა, ჩვენივე უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებიც რეგიონებიდან არიან ჩამოსულნი, აღარ მოუწყვდათ დიდ გაჭირვებაში ცხოვრება თბილისში. ისინი თვეში მინიმუმ 300 ლარს იხდიან ბინის ქირისთვის. ამ დროს კი შეიძლება რეგიონებში დისტანციური ფორმით

გვესწავლებინა. ამ ფორმით შეიძლება თვით საკურსოების, სადიპლომობის მოზადება, გამოცდების ჩაბარება. პარმენ მარგველაშვილის ხელმძღვანელობით კეთდებოდა ასეთი პროექტი, რომელიც რეგიონებში ეპარქიების ბაზაზე ასეთი კურსების ჩატარებას ითვალისწინებდა. დისტანციურ სწავლებაში ხარვეზს ვერ ვხედავ, რადგან ჩვენ იმ პირობებს უნდა ვუპასუხოთ, რომელიც დრომ შემოგვთავაზა. ჩვენს გაჭირვებულ ყოფაში ტექნიკის გამოყენება მისასალმებელია“, — აცხადებს ავთანდილ არაბული. მისივე განმარტებით, ელექტრონულად მიწოდებულ მასალას ის პლუსიც აქვს, რომ მას ნებისმიერ დროს — ღამით, დღით, შუადღის შესვენებისას გამოიყენებს ადამიანი. თუმცა დისტანციური სწავლების მიზნსადაც ავთანდილ არაბული იმას მიიჩნევს, რომ კვალიფიციური კადრები ჩვენი აქილევსის ქუსლია.

ფილოლოგი გურამ ფალავანდიშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ დისტანციური სწავლება მთელ მსოფლიოში წარმატებულია, ხალხი ღამის ოქსფორდსა და კემბრიჯს ამთავრებს სწავლების ამ ფორმით. „უცხოეთში ქართველები გაჭირვებაში ცხოვრობენ, ისინი მთელი დღის განმავლობაში მუშაობენ. ამიტომ ონლაინ-რეჟიმში ქართული ენის სწავლება გენიალური იქნება, რომელიც არა მარტო ქართულ ენას, არამედ ქართულ ცნობიერებასაც აზიარებს ემიგრანტების შვილებს. მართალია, უცხოეთში მცხოვრები ქართველების შთამომავლებს უკვე სხვა ინტერესები აქვთ და ქართული ენა ნაკლებად სჭირდებათ, მაგრამ, თუ, მინიმუმ, მათ მშობლებს აინტერესებთ, რომ შვილებმა ქართული იცოდნენ, შესაბამისად, ბავშვებსაც დააინტერესებთ ქართული ენა. რაც უფრო მაღალ დონეზე იქნება ეს პროექტი, მით უფრო შედეგიანი იქნება. დისტანციური სწავლება დამდღელი არ უნდა იყოს ბავშვებისთვის. ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, — აცხადებს გურამ ფალავანდიშვილი.

სიცოცხლე მესსიერებაში

ინსტიტუტის სიახაყა



უკრაინის ინსტიტუტის კოლეჯი, 1932 წ.

პირველ რიგში (სხედან): თამარ მეხუზა, ირაკლი ბურჯანაძე, გიორგი ვატიძე, ალექსანდრე ალადაშვილი, იოვანე ქუთათელაძე, ივანე ჯავახიშვილი, ნიკოლოზ მასხუღია, ედუარდ აბოლი, არისტრახ მშვიდლობაძე; მე-2 რიგში (დგანან): ალექსი მეხუზა, ვალერიან შოთაძე, თამარ კიკალეიშვილი, ვლადიმერ ასათიანი, ნატო კიკალეიშვილი, თამარ კაჩუხაშვილი, პავლე ჭუმბურიძე, ქეთევან მუჯირი, ლიზა რამიშვილი, ნინო ქორქიაშვილი.

ბანსაკუთრებული ურთიერთდა- მოკიდებულება ჰქონდათ პროფესორ ივანე ჯავახიშვილსა და ფარმაკოქი- მის ინსტიტუტის დირექტორს, პრო- ფესორ იოვანე ქუთათელაძეს.

ინსტიტუტის დაარსება იმ პერი- ოდს დაემთხვა, როდესაც აკადემიკო- სი ივანე ჯავახიშვილი ყველა თანამ- დებობიდან გაათავისუფლეს. პროფ. ი. ქუთათელაძის მეუღლე, ქალბატონი ელენე იხსენებდა: - ბატონი იოვანე როგორ იყო აღშფოთებული ამით, თა- ვის გულსწყრომას საზოგადოებაშიც აღნიშნავდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამ გარემოებას მალე ბოლო მო- ელებოდა.

პროფესორმა ი. ქუთათელაძემ ახლად დაარსებულ ინსტიტუტში სა- განგებოდ სატერმინოლოგიურ გან- ყოფილება ჩამოაყალიბა, გამგედ აკა- დემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მოიწვია. დიდ ივანეს სთხოვა, გამგის მოვალეობა საკუთარ ბინაზე შეესრულებინა.

პროფესორი ივანე ჯავახიშვილი ინსტიტუტში მოღვაწეობდა 1935 წლამდე, ვიდრე ყველა თანამდებობა- ზე აღადგენდნენ. ეს პერიოდი ფარმა- კოქიმიის ინსტიტუტისთვის მეტად ნა- ყოფიერი და საამაყო გახლდათ.

თეარ ქაბორთალიძე, აპაღვიძოლი

© მასხარა!..

პოლიტიკურ ჯგუფებში სააკაშვილს უყურებდნენ როგორც ხმაურის მასხარას!

სააკაშვილის პოლიტიკურ გადაცვანა არ მომხდარა მისი ში- შით. სააკაშვილის უკრაინაში არავის ეშინოდა, ოდესაც და უკ- რაინის ჯანდაცვაში ჩაფლავების შემდეგ „რეფორმატორი მიშას“ ხიბლი დიდი ხანია, გამქრალა.

უკრაინის საზოგადოებაში სააკაშვილის პოპულარობის საუკეთესო სარკე მის აქციებ- ზე მისულთა რაოდენობა და მი- სი პარტიის რეიტინგია (საუბარ- ი აღარაა ოდესის ოლქზე, სადაც მიშა ველარც ჩადიო- და), პოლიტიკურ ჯგუფებში სააკაშვილს უყურებდნენ როგორც ხმაურის მასხარას, რომელიც გამოდგებო- და მხოლოდ სხვა, სერიოზუ- ლი მოთამაშეების ერთმა- ნეთთან საბრძოლო ერთჯე- რად ინსტრუმენტად.

არც ტიმოშენკოს და არც კოლომოისკის არ უფიქრიათ სააკაშვილთან თანამშრომ- ლობა. ერთს სურდა პორო- შენკოს გამოყვანა „ოპოზიცი- ასთან მებრძოლ ქაჯად“, ხო- ლო მეორეს უნდოდა თუნდაც მცირედი სამაგიერო გადაე- ხადა წართმეული ბანკისთვის.

საკაშვილს მასხარად მი- იჩნევს იაცენიუკის პარტია და ოპოზიციური ბლოკიც, ენ. „ევროპტიმისტები“ არანაირ ძალას არ წარმოადგენენ და სხვათა შორის დღემდე რჩებიან პოროშენკოს ბლოკში, ლევიის მერი არავის სჭირდება, ის სა- მიოდე დეპუტატი, რომელსაც სააკაშვილი აპირებდა, რეა- ლურად საკუთარ პოლიტიკა- ვალზე უფრო ფიქრობდა, ვიდ- რე სააკაშვილზე... და ზოგადად ყველამ იცოდა, რომ სააკაშვი- ლის უკრაინაში პერსპექტივა არ ჰქონდა.

ყველამ იცოდა, რომ „ანვე- ტილი ბორკილების“, „სპეცნა- ზელების გალახვისა“ და „ხალ- ხის შიშით გათავისუფლების“

მიღმა იდგა ბანალური გათვლა: პოროშენკოს უნდოდა თავი- სი მტერი - სააკაშვილი დაეკა- ვებინა მის მტერ - ავაკოვს და თუ ხმაური იქნებოდა (რაც აწყობდა პოროშენკოს), მაშინ ავაკოვიც დატოვებდა მიწისტ- რის თანამდებობას. ავაკოვმა იყნოსა ხაფანგი და სააკაშვილი (რომელიც ავაკოვის მტერიცაა) დატოვა გარეთ პოროშენკოს „გასაბანძებლად“. ბოლოს ისე



ნეს. გული დასწყებოდა უკრა- ინაში სააკაშვილის ქართული ფანკლუბის აქტივისტებს, შე- საძლოა, დიასპორულ გუგუშაშ- ვილს, ჩვენს კონსულს უკრაინა- ში, ქათამაძეს წასცდებოდა კურცხალი ... კიდევ ოციოდე კარვის აქტივისტს და მორჩა, უკრაინაში არანაირი მასიური გლოვა არ დაწყებულა.

„შარანი დიდი ძვეყანაა, დიდი პოლიტიკით, დიდი ამ- ბიციებითა და ფულით. იმ სააკაშვილი ძალიან ვაბარა იყო და კიდევ უფრო დაუბატარავდა, როცა ნაპრაზიდიანად მასხარად იქცა და ამით საპარტიოლოსაც ჩირქი მოსცემო.“

საქართველოს პრეზი- დენტი ან ექსპრეზიდენტი ისე არ უნდა იქცეოდეს, როგორც ცანცარა, არ უნ- და დახტოდეს სახურავებ- ზე და არ უნდა ახლებინებ- დეს თავს სხვა ქვეყნის სვე- სამსახურებს.

საკაშვილი ველარ დაბ- რუნდება უკრაინაში და ეს კარგია არა მხოლოდ უკრა- ინისთვის (თავის ქვეყანას თავად, პორტირებული პო- ლიტკოსების გარეშე უნდა მი- ხედონ), არამედ საქართველოს- თვისაც, სადაც სააკაშვილს კვლავ ანგარიშგასანეე ძალად მიიჩნევენ ან მიზანმიმართუ- ლად ცდილობენ მის საფრთხედ წარმოჩენას.

ერთმა უკრაინელმა პოლი- ტოლოგმა ძალიან მოკლედ ჩა- მოიხალება ჩვენი შეცდომა: „თქვენი პრობლემა უკრაინაში მყოფი სააკაშვილი არაა, პრობლემა ისაა, რომ მასში ხე- დავთ პრობლემას, ჯოჯობა, მანდ მიხედოთ სამხრეთ და საპარტიო- ლოს რეალური პრობლემები მოაგვაროთ“.

გიორგი უძილასური

ირაკლი კობახიძე მედია- ორბანიზაციის წარმომადგენლებს კვირის ბოლოს შეხვდა

„მანუშხალოვის შესახებ“ კანონთან და- კავშირებით მედიაორ- განიზაციების წარმო- მადგენლებთან მორი- გი შეხვედრა, საგარაუ- დოდ, კვირის ბოლოს გაიმართება- განცხა- დება ამის შესახებ პარ- ლამენტის თავმჯდო- მარემ გააკეთა: „მე მქონდა შეხვედრა მე- დიაორგანიზაციების



წარმომადგენლებთან ორი კვირის წინათ და მე მათ დავბირდი, რომ გაიმართებოდა კიდევ ერთი შეხვედრა მედიაორგანიზაციების და სა- ზოგადოებრივი მანუშხალოვის მონაწილეობით. ეს პირო- ბა, რა თქმა უნდა, შესრულდება. ჩვენ, საგარაუდოდ, ამ კვირის ბო- ლოს გამართავთ ასეთ შეხვედრას, სადაც კიდევ ერთხელ ვთხოვთ ორივე მხარეს, რომ წარმომადგენონ არგუმენტები კანონპროექტთან დაკავშირებით და ამ არგუმენტების განხილვის საფუძველზე მიიღებს პარლამენტი საბოლოო გადაწყვეტილებას, დაძლევეს თუ არა ვეტოს“, - განაცხადა კობახიძემ.

არს ვეტოს ვიზირებს და არს პარლამენტის პროექტისთვის პასივობა მხარდაჭერას!

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პო- ლიტკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია აცხადებს, რომ „საზოგადოებრივი მანუშხალოვთან“ დაკავშირებით კანონში განხორ- ცილებულ ცვლილებებზე პრეზიდენტის ვეტოს არ იზიარებს და არც პარლამენტის მიერ მიღებული პროექტისთვის აპირებს მხარ- დაჭერას:

„პრეზიდენტის ვეტოს არ ვიზიარებ, რადგან ერთ-ერთ საკითხში არ ვეთანხმები. პრეზიდენტს ვეტოთი ის ორი საკითხი რომ წარმო- ედგინა, რაც ჩვენი შენიშვნა იყო, მაშინ, ცხადია, ვეტოს გავიზიარებ- დი. არ ვეთანხმები პრეზიდენტს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ნა- ნილი არის ის თემა, რომელიც შეიძლება ჩვენ ვერ გავაკონტროლოთ. მე აქ საფრთხეს ვერ ვხედავ. ზოგადად სახელმწიფო შესყიდვები შეიძლება იყოს საფრთხის შემცველი, მაგრამ აქ მთავარია, რამდე- ნად გაქვს ინსტრუმენტი იმისა, რომ ეს აკონტროლო. „საზოგადოებრივი მანუშხალოვის“ შემთხვევაში მგონია, რომ სახელმწიფოს ეს ინსტრუმენტი აქვს. სწორედ ამ მიზნით პრეზიდენ- ტის ვეტოს არ ვიზიარებ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოზიცია შე- ვიცვალე პარლამენტის მიერ მიღე- ბულ კანონპროექტთან დაკავშირე- ბით, რომელსაც ასევე უნდა ეყაროს კენჭი“, - აცხადებს კაკულია.





„მარკატილის“ მეტროს ინციდენტი არაფერია იმ ტრაგედიასთან შედარებით, რაც შეიძლება ახალ მშენებარე გზებზე მოხდეს...“

– თქვენ საფუძვლიანი ეჭვი გაქვთ საგზაო მაგისტრალის ხარვეზებსა და დარღვევებთან დაკავშირებით. ალბათ, ამიტომაც გადაწყვეტილი მსხვილი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მონიტორინგის დაწყება...

– ეს ყველაფერი მას შემდეგ დამტკიცდება, რაც მივიღებთ ინფორმაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროსგან გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებით...

საქმე ის არის, რომ უცხოური კომპანია შემოდის საქართველოში, დემონსტრირებს ფასით დასაჯებულ ტენდერში, თუმცა ეს ფასი რეალურად არ არის საკმარისი კონკრეტული პროექტის სრულყოფილად განხორციელებისთვის...

შოთა გულბანი: უსხოური კომპანია დაპინგური ფასით იმარჯვებს ტენდერში და უხარისხო გზებს აგებს!

მღელვარება არ გამოიწვიოს და, მეორე მხრივ, საგზაო უსაფრთხოების ნორმები მაქსიმალურად იყოს დაცული. ეს უკანასკნელი ასევე წარმოშობს დიდ კითხვებს. ჩვენ გვაქვს შესაბამისი ფოტომასალა, მტკიცებულებები, რომ კონკრეტულად ერთ-ერთი ჩინური კომპანია, რომელიც ახორციელებს მსხვილ საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებს საქართველოში, მის მიერ შესრულებული სამუშაო მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება...

– ანუ ასფალტი აიყარა? – ეს გზა ჩაზნექილია, რაც მიუთითებს, რომ კიდევ უფრო ჩაიზნექება და დიდი სისწრაფით მიმავალი მანქანა უსაფრთხოებას ვერ დაიცავს. ასეთ დეფორმირებულ გზაზე ძალიან ცუდი რამ შეიძლება მოხდეს, თანაც, ეს არის მაგისტრალი და აქ დიდი სიჩქარით მოძრაობენ მანქანები. ასეთი ხარვეზები გამორიცხული უნდა იყოს, თანაც, ასეულობით მილიონ ლარზეა საუბარი. ამიტომაც დავინტერესდით ამ კვლევის ჩატარებით, რადგან პრობლემა ნამდვილად არსებობს და დეტალურად მაშინ მოგანვიძიოთ ინფორმაციას, როცა პასუხებს კონკრეტული სამინისტროებისგან მივიღებთ.

ბელყო მთელი რიგი საკითხები, თუნდაც ქობულეთის შემოვლით გზასთან დაკავშირებით. იქ არის ერთ-ერთი სოფელი, სადაც ამ ჩინურ კომპანიას სახელმწიფოს მხრიდან მინიჭებული ჰქონდა ბუნებრივი ნიალისეულის მოპოვების უფლება, მაგრამ რეალურად, ამ კომპანიამ არ შეასრულა ვალდებულებები, რაც წესის თანახმად ევალებოდა. კერძოდ, ბუნებრივი ნიალისეულს როცა მოიპოვებს კომპანია, იმ კონკრეტულ ადგილებში, სადაც მიმდებარედ დასახლებული პუნქტებია, მიწების რეკულტივაცია უნდა განახორციელოს, რათა მოსახლეობამ შეძლოს მიწებით სარგებლობა...



– თქვენ სამტრედიის-გრიგოლეთის საგზაო მაგისტრალზე არსებული ხარვეზები ახსენეთ. სხვა მაგისტრალებზე რა ხდება და რომელია ჩინური კომპანია აჩვენს კითხვებს? – ჩვენ ამას გლობალურად ვაკვირდებით, მაგრამ გამოკვეთილად არაკეთილსინდისიერი ქმედებით გამოირჩევა ჩინური კომპანია „სინოჰიდრო“, რომელმაც უგულვ...

ნებრივი ნიალისეული, ქვა-ღორღი, რომელიც მინიდან უნდა ამოიღოს, დააგოს და შემდგომში უკვე ასფალტის დაგება განახორციელოს. მას შემდეგ, რაც ამ კომპანიამ ღრმულები ამოიღო, ამოთხრილ ადგილებში გაჩნდა ჭაობები, ჭები, სადაც შეიძლება ადამიანი სულაც ჩავარდეს და დაიხრჩოს. აქ აშკარაა გარემოზე ზემოქმედების ნორმების უგულვებლყოფა. ამას ემატება უხარისხო გზა, რომელზეც მილიონობით ლარი იხარჯება. ელემენტარულად, უსამართლობისა და პროტესტის განცდა გვიჩნდება.

– თუკი ადგილობრივ კომპანიებს ძირავენ უცხოელების სასარგებლოდ, შესაძლოა, გარკვეულ კო...

სთავაზობ, გამომცხადებელიც იძულებულია, დათანხმდეს ამ პირობებს. წინა წლების გამოცდილებით გვახსოვს, რომ მაგისტრალის მშენებლობა და ასფალტის დაგება ხშირად ფულის გათეთრების საუკეთესო საშუალება იყო. ამ შემთხვევაში, თქვენ მიერ ნახსენები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და, ასევე, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროები ხომ არ მიჩქმალავენ იმ კონკრეტულ ფაქტებს, რაზეც თქვენ რეაგირებთ იხსოვთ?

– კორუფციასთან მიმართებით ცოტა რთულია ჩემი მხრიდან მტკიცებულებების გარეშე განცხადების გაკეთება. იმედი მაქვს, ასე არ იქნება, მაგრამ ბევრი კითხვის ნიშანი იბადება თავად სახელმწიფო სტრუქტურებისა და ამ კომპანიების მოქმედებებთან დაკავშირებით. ჩვენი მიზანია, გზები ნორმალურად დაიგოს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები ყაირათიანად დაიხარჯოს და წყალში არ გადაიყაროს, რადგან სწორედ ჩვენ ვართ ამ ბიუჯეტის შემავსებლები.

– სხირად მაგისტრალის მშენებლობის ერთი პროექტი მეორით იცვლება. ეს ჩანაცვლება რამდენად უხარვეზოა? ბევრად უფრო გაუარესებულ პროექტს ხომ არ გვთავაზობენ?

– ისეთი კითხვებს მისვამთ, რაზეც პასუხებს ამ კონკრეტული სამინისტროებისგან ვითხოვთ. სწორედ ეს ჩანაცვლებები და პროექტში შესული ცვლილებებია ძალზე საინტერესო. რატომ დადგა დღის წესრიგში, რომ თავდაპირველ პროექტში ცვლილებები შესულიყო? შემდგომ გაიარა თუ არა ხელახალი ექსპერტიზა ამ ცვლილებებზე? სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს მხრიდან გაცემულია თუ არა შესაბამისი ნებართვა და მიმდინარეობს თუ არა მონიტორინგი გარემოზე ზემოქმედების ნორმების უგულვებლყოფასთან დაკავშირებით? დაშინებებით, ძალიან ბევრი კითხვაა დაგროვილი.

ესაუბრა მანანა ნოზაძე

„მინასთან დაკავშირებული კანონპროექტი ივნისის ბოლომდე იქნება მიღებული“

„გვესაბირობება კანონმდებლობის ჰარმონიზაცია კონსტიტუციასთან და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კანონპროექტი, რომელიც უნდა მომზადდეს და რომელიც უნდა მივიღოთ, რეალურად, ივნისის ბოლომდე, იქნება სწორედ მინასთან დაკავშირებული კანონპროექტი“.

– ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განუცხადა. მისივე თქმით, შესაძლოა, ამასთან დაკავშირებით სპეციალური კომისია შეიქმნას. „ახალი კონსტიტუცია, ახალი რედაქცია ამოქმედდება, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ნოემბრის თვიდან, მას შემდეგ, რაც ფიცს დადებს ახალი პრეზიდენტი. შესაბამისად, ჩვენ მანამდე გვესაჭიროება კანონმდებლობის ჰარმონიზაცია კონსტიტუციასთან და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კანონპროექტი, რომელიც უნდა მომზადდეს და რომელიც უნდა მივიღოთ ჩვენ, რეალურად, ივნისის ბოლომდე, იქნება სწორედ მინასთან დაკავშირებული კანონპროექტი. ამასთან დაკავშირებით შეიქმნება, ზოგადად, პარლამენტის კომისია. ასევე, შეიძლება შეიქმნას სპეციალური კომისია მინის კანონპროექტთან დაკავშირებით და ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად განვიხილავთ ამ კანონპროექტს და მივიღებთ ისეთ

კანონმდებლობას, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, ჩვენს ეროვნულ ინტერესებს საქართველოში, მათ შორის, ეკონომიკის განვითარების ინტერესებს“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ჩონატაურში კოოპერატივების განვითარებას აპირებენ



მამალაძესთან ერთად ადგილობრივ ფერმერებს შესვდა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამები გააცნო. გიორგი მიშელაძემ ისაუბრა მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის, რძის მწარმოებელი და მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერი სახელმწიფო პროგრამების შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე ჩონატაურის მუნიციპალიტეტის მერთან ირაკლი კუჭავასთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ზაალ ფერმერებს შეხვდა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამები გააცნო.

რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერი სახელმწიფო პროგრამა მოიცავს მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის (თხა, ცხვარი) დარგის კოოპერატივების ხელშეწყობას.

თბილისის ხელოვნების სასახლეში ახალი წყალსასაპი აშენდება

პროექტის განხორციელების შემდეგ 7 ათასი პეტარის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გახდება წყალუზრუნველყოფილი. კასპის მუნიციპალიტეტში აღნიშნული პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა.

ანგარიში მომზადებულია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ. სპეციალისტთა ჯგუფმა შეისწავლა საპროექტო ტერიტორიის ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფორმის მახასიათებლები. კომპანიის წარმომადგენელმა ადგილობრივ მოსახლეობას პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიანიშნა. შეხვედრას საქართველოს მელიორაციის ხელმძღვანელი პირები და ადგილობრივი ხელი-სუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



კვალი დროში

90 წელი ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის სოლიდური მონაკვეთია, მით უფრო, როცა იგი უღრესად ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა.

1945 წელს დაამთავრა თბილისის მე-12 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე. იგი სწავლას კარგად უთავსებდა სპორტს, მთელი ხუთი წლის მანძილზე იყო ინსტიტუტის ფეხბურთის ნაკრების წევრი. 1950 წელს წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის ინჟინრის სპეციალობით. 1951 წლიდან ბატონი გუგა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტია, სპეციალობით „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“. 1954 წელს იგი მუშაობას იწყებს იმავე ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1958 წელს წარჩინებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1965 წელს დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტი, საინჟინრო გეოლოგიის სპეციალობით. 1959 წელს სამუშაოდ გადადის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ახლად ჩამოყალიბებულ ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტში, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1962 წელს იგი აღნიშნულ ინსტიტუტში იკავებს სწავლული მდივნის თანამდებობას, ხოლო 1975 წელს ხდება იმავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. შეთავსებით აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართვე-

გუგა ჭოხონელიძე - სამშენებლო და სინჟინრო გეოლოგიის პატრიარქი

ლოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

გუგა ჭოხონელიძის ეფექტურმა კვლევებმა ლოგიკურად მოამზადა ნიდადაგი სადოქტორო დისერტაციისთვის „საქართველოს სუსტი გრუნტები, როგორც ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ფუძეები“, რომელიც წარმატებით დაიცვა 1974 წელს. იმავე წელს მას ანიჭებენ პროფესორის წოდებას.

1975-80-იან წლებში იგი აგრძელებს სამეცნიერო მუშაობას და იკვლევს აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიოსისებრ გრუნტებს. შედეგები გამოქვეყნდა მოსკოვში გამოცემულ მონოგრაფიაში „საბჭოთა კავშირის ლიოსები“, რომლის ერთ-ერთი ავტორიც გახლავთ ბატონი გუგა.

1982 წლიდან გუგა ჭოხონელიძე სათავეში უდგას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების კათედრას. იგი ახალი ძალით და დიდი ერთუზიანობით აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას. 1985 წელს მან კათედრაზე ჩამოაყალიბა ახალი სპეციალობა „საქალაქო მშენებლობა და მეურნეობა“, რომელიც ამჟამად კადრებს შენობა-ნაგებობათა გაძლიერება-გამაგრებისა და რეკონსტრუქციის მიმართულებით. შექმნა მყარი ლაბორატორიული ბაზა, რომელიც აღჭურვა ახალი ტექნიკით. ამასთანავე, ბატონი გუგა დიდ ყურადღებას აქცევს



ახალგაზრდა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. მის მიერ აღზრდილი მრავალი ასპირანტი დისერტაციის დაცვის შემდეგ წარმატებით აგრძელებს მუშაობას, როგორც ტექნიკურ უნივერსიტეტში, ისე მის გარეთ, სამშენებლო და საინჟინრო გეოლოგიის სფეროში.

1984 წელს გუგა ჭოხონელიძე, როგორც მაღალკვალიფიციურ და გამორჩეულ სპეციალისტს იწვევენ ქ. ბაქოში,

აზერბაიჯანის არქიტექტურისა და მშენებლობის უნივერსიტეტში დისერტაციის დაცვის სამეცნიერო საბჭოს წევრად. იგი დღესაც აგრძელებს აღნიშნულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას და ეხმარება მეზობელ სახელმწიფოს სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში.

2001 წელს გ. ჭოხონელიძეს ირჩევენ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსად, სადაც ხელმძღვანელობს სამშენებლო განყოფილებას.

გუგა ჭოხონელიძეს გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო შრომა და რამდენიმე მონოგრაფია. მისი გამოკვლევები დაწერულია მშენებლობის პრაქტიკაში. 2000 წელს იგი, როგორც მკვლევარი და პედაგოგი, დაჯილდოეს ღირსების ორდენით. იმავე წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება.

ბატონი გუგა, თავისი გვარის ღირსეული წარმომადგენელი, გამორჩეული მეოჯახე, მამა და მეუღლე, ქვეყნის ერთგული და მხურვალე პატრიოტი, სტუდენტი ახალგაზრდობისთვის თავდადებული პედაგოგია.

ბატონი გუგა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილია საპატიო თბილისელის წოდებაზე.

ღმერთმა დიდხანს უცოცხლოს მშობლიურ ერს ბატონი გუგა!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საქართველოს საინჟინრო აკადემია; სამშენებლო ფაკულტეტი.

კონგრესი

ჰიდროენერგეტიკის დღევანდელი პოპიზონტები

წმლის რესურსებით საქართველო აღმოსავლეთ ევროპის, ასევე კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა, თუმცა კი, სამწუხაროდ, ამ უდიდესი ენერგეტიკული პოტენციალის სასურველად მაღალ დონეზე გამოყენებას დღესდღეობით ვერ ვახერხებთ. ელექტროენერჯის მისაღებად წყლის, ასევე სხვა განახლებადი წყაროების გამოყენება, უდიდესი გარემოსდაცვითი ეფექტის გარდა, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი კიდევ იმიტომ არის, რომ ჩვენში ენერგოშემცველების (ნავთობის, გაზის) მხოლოდ მცირერიცხოვანი, მწირი საბადოებია.

ამდენად, 14 თებერვალს სასტუმრო „თბილისი ბელთაშორში“ გახსნილი მეორე საერთაშორისო კონგრესი „კასპისა და ცენტრალური აზიის ჰიდროენერგეტიკა“ უღრესად საგულისხმო მოვლენაა, რომლის ფარგლებში სამამულო ჰიდროენერგეტიკული სფეროს წამყვანი კომპანიების სპეციალისტებს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და ენერგეტიკის სამინისტროების წარმომადგენლებს დარგის სამამულო და მონიარვე უცხოური, ასევე შერეული კაპიტალით შექმნილი კომპანიების მაღალი რანგის შენეჯერებთან და ექსპერტებთან შეხვედრის, გამოცდილებისა და ინოვაციური იდეების გაცნობა-გაზიარების, საქმიანი კონტაქტების დამყარების კარგი შესაძლებლობა აქვთ.

კონგრესის მონაწილეთ შესავალი სიტყვით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ რომეო მიქაუტაძემ მიმართა. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ჰიდროენერგოპოტენციალის ჯეროვნად გამოყენება და ამ საქმეში წარმატების მისაღწევად ქვეყანაში ინვესტორთა მოღვაწეობის გასაიოლებლად დღენიადაგ



შესაბამისი საქმიანობა. მან მოკლედ გააცნო კონგრესის მონაწილეებს საქართველოს ენერგეტიკის სადღესიო მდგომარეობა, სიმძლავრეები, იმპორტ-ექსპორტ-ტრანზიტის მონაცემები, დარგის, ასევე ელექტროენერჯის განაწილებისა და მოხმარების ბაზრების სტრუქტურები, მიმოიხილა ბოლო წლებში ექსპლუატაციაში შესული ჰიდროელექტროსადგურების მუშაობა. ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ ცალკე გამოყო უცხოელი პარტნიორების დახმარებით ქვეყანაში ამჟამად განხორციელებული პროცესში მყოფი განსახორციელებელი

24 ჰიდროენერგოპროექტი და დასძინა, რომ კიდევ 78 პროექტი ამჟამად ტექნიკური დასაბუთების სტადიაზეა. განსაკუთრებით საყურადღებო კი, როგორც ჩანს, ბატონ მიქაუტაძის გამოსვლაში ჩვენთვის ისაა, რომ სამინისტროს ქვეყანაში ელექტროენერჯის წარმოებისა და დისტრიბუციის ქსელების განვითარების, ასევე არსებულითა გაფართოების ათწლიანი გეგმა აქვს შემუშავებული.

განსაკუთრებული მადლობა კი თბილისში მეორე კონგრესის „კასპისა და ცენტრალური აზიის ჰიდროენერგეტიკის“ მოწყობაში გვინდა გადავუხადოთ ჩვენს ოქროს სპონსორს, კომპანია „VOITH“-ს, ბრინჯაოს სპონსორს, კომპანია „VREMYA“-ს, სპონსორს, კომპანია „AIMSIR“-სა და ექსპონატებს, თქვა ჩვენთან საუბრისას ბატონმა რომეო მიქაუტაძემ.

აღსანიშნავია, რომ კონგრესის ოქროს სპონსორი, უძველესი, 150 წლის წინათ დაფუძნებული კომპანია „Voith hidro“ როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოსა და ჩვენს მეზობელ ქვეყნებში მრავალ მნიშვნელოვან ენერგოპროექტს ახორციელებს, მათ შორის, ჩვენში – 13-ს.

კონგრესის მონაწილეთა წინაშე თავიანთი ქვეყნების ენერგოსისტემების თავისებურებებზე, კომპანიების მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტებზე, მათ შორის, ჰიდროელექტროსადგურებში მოქმედებული და ამორტიზებული მონაცემებისა და ანაღვარების ინოვაციური აღჭურვლობით შეცვლის გეგმებზე, ახლის წარმოებაზე, უსაფრთხოებაზე, საინჟინტეციო პოლიტიკაზე, ინფრასტრუქტურის აშენება-გაფართოების, გარემოსდაცვით და დასაქმებულთა სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, მრავალ სხვა საჭიროებულ თემაზე ფორუმში მონაწილე ყველა ქვეყნისა და კომპანიის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები გამოვიდნენ.

კონგრესი მუშაობას ხვალ დაასრულებს.

ოთარ ტურაბალიძე

ბაკურიანი საერთაშორისო შეჯიბრს უმასპინძლებს

ბაკურიანი საერთაშორისო შეჯიბრს უმასპინძლებს – ამ თემაზე 15 თებერვალს, 10:30 საათზე, ბაკურიანში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ საქართველოს სათხილამურო ფედერაციასთან ერთად პრესკონფერენცია გამართავს. 16-17 თებერვალს ბაკურიანში საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ეგიდით „სკი კროსში“ შეჯიბრს გაიმართება, რომელსაც საქართველო წელს პირველად უმასპინძლებს. 2010 წლიდან Ski Cross ოლიმპიური სპორტის დისციპლინაა, რაც ტრასაზე ოთხი სპორტსმენის ერთდროულად მოწინააღმდეგეობას გულისხმობს. დაბრკოლებებით აღჭურვილი, დაახლოებით ერთკილომეტრიანი ტრასის დაფარვას მოთხილამურეები მინიმალურ დროში შეეცდებიან.

საერთაშორისო შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია გაიარეს სპორტსმენებმა ავსტრიიდან, ჩეხეთიდან, სლოვაკეთიდან, ყაზახეთიდან და ავსტრალიიდან. შეჯიბრში 8 ქართველი მოთხილამურე იღებს მონაწილეობას. ბაკურიანში ჩატარებულ შეჯიბრში მოპოვებული საერთაშორისო ქულები მათ მსოფლიო თასის ეტაპებში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს.



სტრიქონები ალბერტ აინშტაინის წერილებიდან

მათემატიკური კანონები, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება აქვთ რეალურ სამყაროსთან, არასაიმედოა არიან. საიმედო მათემატიკურ კანონებს კი რეალურ სამყაროსთან დამოკიდებულება არა აქვთ.

მთელ მეცნიერულ კვლევა-ძიებას საფუძვლად უდევს რწმენა, რომლის თანახმადაც სამყარო მონესრებივლ და შეცნობად არსად გვევლინება. ეს რწმენა რელიგიური გრძობაა და ფუნდენტული ჩემი რელიგიური გრძობა — ეს მონინებით სავესე ალტაცებაა იმ წესრიგის წინაშე, რომელიც სუფევს ჩვენი სუსტი გონებისთვის მისანვლომ რეალობის მცირე ნაწილში.

მე ვუყურებ სურათს, მაგრამ ჩემს გონებას არ შეუძლია ამ სურათის შემოქმედის გარეგნობის რეპროდუცირება. მე ვუყურებ საათს, მაგრამ არ შემიძლია ოსტაბის წარმოდგენა, რომელიც ის შექმნა. ადამიანის გონებას არ შეუძლია ოთხი განზომილების აღქმა. როგორღა მისწვდება ღმერთს, ვისაც ათასი წელი და ათასი განზომილება ერთ წლად და ერთ განზომილებად წარმოუჩნდება?

მე არა მწამს, თითქოს ცალკეული პიროვნებები რაღაც განუმეორებელი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი. მე მხოლოდ ის მწამს, რომ არსებობს ერთი მხრივ — ნიჭი, მეორე მხრივ კი — მაღალი კვალიფიკაცია.

წარმოიდგინეთ გაბრტყელებული ბალღინჯო, რომელიც სფეროს ზედაპირზე ცხოვრობს. ეს ბალღინჯო შეიძლება, რომ ანალიტიკური გონებით იყოს დაჯილდოებული, შეიძლება, რომ ფიზიკაც შეისწავლოს და ასე განსაჯეთ, ნიგნებიც კი წეროს. ბალღინჯოს სამყარო ორგანზომილებიანი იქნება. აზრობრივად თუ მათემატიკურად მან იქნებ ისიც გაიგოს, თუ რა არის მესამე განზომილება, მაგრამ იმის ცხადად წარმოდგენას კი ვერ შეძლებს. ადამიანიც ზუსტად ამ საბრალო ბალღინჯოს მდგომარეობაშია ჩაყენებული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის სამგანზომილებიანია. ადამიანმა შეიძლება, მათემატიკურად წარმოიდგინოს მეოთხე განზომილება, მაგრამ იმის დანახვას, იმის თვალსაჩინოდ წარმოდგენას ფიზიკურად ვერ შეძლებს. ადამიანისთვის მეოთხე განზომილება მხოლოდ მათემატიკურად არსებობს. იმისი გონებისთვის ოთხგანზომილებიანობა მიუწვდომელია.

პარბად ცნობილია, რომ ცენტრალიზაციის მეცნიერებასა და ხელოვნებაში უნაყოფობისკენ მივყავართ, რადგანაც იგი აკონტროლებს და თრგუნავს კიდევ ყოველგვარ სანინალმდეგო აზრსა და კვლევით მიმართულებას.

დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ინტელექტუალური ძიებისადმი უდიდესმა პატივისცემამ განაპირობა ის წვლილი, რაც ებრაელებმა შეიტანეს მეცნიერების განვითარებაში.

ძლიერი კრიტიკული საწყისი აფერხებს ბრმა თავყანისცემას ყოველგვარი ავტორიტეტების წინაშე.

ებრაული თემი ამჟამად 16 მილიონ კაცს შეადგენს — მთელი კაცობრიობის დაახლოებით ერთ პროცენტს ან დღევანდელი პოლონეთის მოსახლეობის ნახევარს. ებრაელობის, როგორც პოლიტიკური ფაქტორის მნიშვნელობა, არაარსებობს. ებრაელები გაფანტულნი არიან თითქმის მთელ მსოფლიოში, რის გამოც შეთანხმებული აქციების მოლონისძიება არ ძალუძთ.


სრულიად ბუნებრივია ებრაელთა სიძულვილი იმათ მხრივ, რომელთაც გა-

ნათლების ფართო განვითარება აშინებთ. ყველაზე მეტად იმათ ინტელექტუალურად დამოუკიდებელი ადამიანები აფრთხობთ.

ნაცისტებისთვის ებრაელი მარტო ობიექტი როდია, ვისკენაც ხალხის სიძულვილის წარმართვა შეიძლება: ისინი ებრაელებში ხედავენ იმ ელემენტს, რომელსაც უკრიტიკოდ ვერ მიაღებინებდოგმებს. ამიტომაც, სანამ არსებობს ებრაელობა, რომლებიც ფართო მასების განათლებას ქადაგებენ, იმათ ძალაუფლებასაც ხიფათი ემუქრება.

ერთი რამ შევიცან ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე: მთელი ჩვენი მეცნიერება გულუბრყვილოა და მარტივი

ასე ამბობდა აიბეხს აინშტაინი რუსული ტექსტი ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა



რეალობასთან შედარებით — და მაინც ეს არის ყველაზე ძვირფასი, რაც ჩვენ გვაქვს.

მეც ჯადოსნური ზღაპრის მეფესავით მჭირს, რასაც იგი შეეხებოდა, ყველაფერი ოქროდ იქცეოდა, ხოლო რასაც მე — საგაზეთო აურზაურად...

მხოლოდ ძლიერი ბუნების ადამიანები ეწინააღმდეგებიან ზერეულე ანალიზის ცდუნებას.

ყველაზე გაუგებარი სამყაროში ის არის, რომ იგი შეცნობადია.

კომფორტი და ფუფუნება არასდროს ყოფილა ჩემთვის თვითმიზანი... სიკეთე, სილამაზე და ჭეშმარიტება — აი იდეალები, რომლებიც ანათებდნენ ჩემი ცხოვრების გზას. ისინი მარადიულად აახლებდნენ ჩემს სულში სიხარულსა და სიმამაცეს.

ჯაჭვური ატომური რეაქციების აღმოჩენა ისევე მცირედ ემუქრება კაცობრიობას განადგურებით, როგორც ასანთის გამოგონება. ოლონდ საჭიროა, რომ ყველაფერი გაკეთდეს ამ საშუალების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.


არც ერთი მიზანი არ არის იმდენად ამაღლებული, რომ უდიდესი საშუალება გაამართლოს იმის მისაღწევად.

გამოჩინილი პიროვნების ზნეობრივ თვისებებს, ალბათ, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა თაობისა და ისტორიული პროცესისათვის, ვიდრე წმინდა ინტელექტუალურ მიღწევებს. ეს

ინტელექტუალური მიღწევები თვითონვე არიან დამოკიდებული სულის სიდიადეზე, რომელი სიდიადეც ჩვეულებრივ უცნობი რჩება.

პარბი ხუმრობა ძალიან ხშირად არ უნდა გაიმეორო.

ძალღები და პატარა ბავშვები კარგად არჩევენ ერთმანეთისგან კეთილ და ბოროტ ადამიანებს. ისინი შთაბეჭდილებით ხელმძღვანელობენ, პირველთა მიმართ ნდობას იჩენენ და მეორეებს თავს არიდებენ. უმეტესად არცა ცდებიან, თუმცა მცირე გამოცდლება აქვთ დაგროვილი, ცხადია, მეცნიერულ მეთოდისკაც არ იყენებენ, სისტემატურად არც ფიზიონომიებს სწავლობენ.



სანამ კაცობრიობა მომწიფდებოდა სინამდვილის მომცველი მეცნიერებისთვის, აუცილებელი იყო სხვა ფუნდამენტური მიღწევა, რომელიც არ იყო ფილოსოფიის კუთვნილება კეპლერამდე და გალილეიმდე. წმინდა ლოგიკურ აზროვნებას ემპირიული სამყაროს არავითარი ცოდნის მოტანა არ შეეძლო ჩვენთვის. რეალობის მთელი შეცნობა გამოდის ცდიდან და იმასვე უბრუნდება.

თუ შენ მართლაც გინდა, რომ გახდე მეცნიერი, დღეში რაღაც ნახევარი საათი მინც უნდა იფიქრო შენი კოლეგებისგან სრულებით განსხვავებულად.

მეცნიერებაში არ არის მარადიული თეორიები. ყოველთვის ისე ხდება, რომ თეორიის ზოგიერთ ნიასწარმეტყველებას უარყოფს ექსპერიმენტი. ყოველ თეორიას აქვს თავისი განვითარებისა და ტრიუმფის პერიოდი, რის შემდეგაც იქნებ სწრაფი დაცემაც განიცადოს. თითქმის ყოველი დიდი წარმატება მეცნიერებაში იქმნება ძველი თეორიის კრიზისისგან, როგორც შექმნილი სიძნელებიდან გამოსავლის პოვნის ცდის შედეგი.

მეცნიერება — ეს არის აზრის და უცხრომელი მრავალსაუკუნოვანი მუშაობა: სისტემის სახით ერთიანობაში ჩამოაყალიბოს ჩვენი სამყაროს ყველა შეცნობადი მოვლენა.

მეცნიერება არ არის და არც არასოდეს იქნება დასრულებული ნიგნი. თითოეულ მნიშვნელოვან წარმატებას მოაქვს ახალი კითხვები. ყოველგვარი

განვითარება დროთა განმავლობაში სულ ახალ და უფრო ღრმა სიძნელებებს ავლენს.

მეცნიერის რელიგიურობა ბუნების კანონთა ჰარმონიის წინაშე ალფრთოვანებული თავყანისცემის გამოხატვაა.

ჩვენ შეგვიძლია სამყაროს შეცნობა მხოლოდ ჩვენი გრძობის ორგანოების მეშვეობით, რომლებიც არაპირდაპირ აირეკლავენ რეალური სამყაროს ობიექტებს.

ფიზიკური თეორიის შექმნაში არსებით როლს ასრულებენ ფუნდამენტური იდეები. ფიზიკის წიგნები სავსეა რთული მათემატიკური ფორმულებით, მაგრამ ყოველი ფიზიკური თეორიის სანყის წარმოდგენენ არა ფორმულეში, არამედ აზრები და იდეები. იდეებმა გვიან უნდა მიიღონ რაოდენობრივი თეორიის მათემატიკური ფორმა, შესაძლებელი გახადონ ექსპერიმენტთან შედარება.

ინტელექტის მთელი მოღვაწეობის მიზანია, რომ სასწაული ხელმისაწვდომი გახადოს.

წმინდა ლოგიკურ აზროვნებას არ შეეძლო ჩვენთვის ემპირიული სამყაროს შესახებ არავითარი ცოდნის მოტანა. რეალობის მთელი შეცნობა გამომდინარეობს ცდიდან... სწორედ იმიტომ, რომ გალილეიმ აღიარა ეს და განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამ ჭეშმარიტებას შთაგონებდა მეცნიერებს, იგი არის თანამედროვე ფიზიკისა და, ფაქტობრივად, თანამედროვე ბუნებისმეტყველების მამა.

უწინარესად დიდი ხელოვანი და შემდგომ დიდი მეცნიერი ყველაზე მეტად იმსახურებენ კაცობრიობის აღზარებას იმიტომ, რომ ისინი ადამიანებს აგულიანებენ ამაღლებული სულიერი მოღვაწეობისთვის.

წმ დაისახავთ ძალზე მარტივ ამოცანებს! ნუ გამოეკიდებით ადვილად მისაღწევ მიზნებს. ინსტინქტურად უნდა იგრძნოთ, თუ გონების უდიდესი დაძაბულობით თავად რისი მიღწევა შეგიძლიათ.

დანახვისა და გაგების სიხარული ბუნების ყველაზე შესანიშნავი ნიჭია.

როდესაც ბრეგეს საათს ვატარებ, ასე მგონია, რომ ჯიბეში გენიოსის ტვინი მაქვს.

მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში იძულებული ვიყავი, რომ დრო გამენაწილებინა პოლიტიკისა და განტოლებებისათვის... დიდ გულისყურს ვიჩენდი სოციალური უთანასწორობის მიმართ, მიმაჩნია, რომ კაცობრიობის სოციალური პრობლემები ყველაზე მტანჯველია. დამონება და ექსპლუატაცია უსაზიზღრესი მოვლენაა ადამიანთა ურთიერთობის სფეროში.

ყოველ ინტელიგენტს, თუნდაც არასპეციალისტს, შეუძლია თანამედროვე ფიზიკის პრობლემებში ღრმად ჩანვლომა, რაც არანაკლებ გატაცებით იკითხება, ვიდრე საგულისყურო რომანი.

მე მწამს ინტუიცია, ალლო და ზემთაგონება. ხშირად ვგრძობ, რომ სწორ გზას ვადგავარ, მაგრამ არ ძალმიძს ჩემი სისწორის ახსნა. როდესაც 1919 წელს მზის დაბნელებამ დაამონმა ჩემი მიხვედრა, მე სრულიადაც არ განვცვიფრებულვარ, მე განვცვიფრდებოდი, ეს რომ არ მომხდარიყო. წარმოსახვა უფრო მნიშვნელოვანი რამ არის, ვიდრე ცოდნა, ვინაიდან ცოდნა შემოფარგლულია, ხოლო წარმოსახვა მოიცავს ყოველივეს ამ ქვეყანაზე, ებიძგება პროგრესს და იმის ევოლუციის წყაროს წარმოადგენს. მკაცრად რომ ვთქვათ, წარმოსახვა რეალური ფაქტორია მეცნიერულ კვლევაში.

(გაბრძელება იძნება)



რატომ გარბიან საქართველოდან და ვის უტოვებენ საკუთარ ქვეყანას? ამის შესახებ დემოგრაფი ბნ-ზორ თოთაძე გვესაუბრება.

საშინელება ხდება, სოფლების ნახევარი მოსახლეობისგან დასპარიალებულია!

საქართველოში შემოდის სულ სხვა ერი - ინდოელი, ჩინელი, პაკისტანელი, არაბი, რომლებიც ჯანსაღები არიან!..

— ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ჩვენი მთავრობის მხრიდან გამკაცრებული ღონისძიებები საქართველოდან წასვლის მსურველთა ნაკადს სამომავლოდ მაინც დააბრკოლებს?

— გამკაცრება კარგია, რადგან გარკვეულ ბარიერებს შექმნის საქართველოდან წასასვლელად უცხოეთში, მაგრამ ვიზალიბერალიზაციამდე არანაკლები ბარიერები იყო, თუმცა ხალხი მაინც მიდიოდა საზღვარგარეთ. საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო მოსახლეობისგან დაიცვლება. უფრო ზუსტად, საქართველოს ყველა რეგიონის მუნიციპალიტეტი სულ რაღაც 41 წელიწადში დაცარიელდება. მოგესენებათ, ძალზე გაიზარდა გარე მიგრაციის მასშტაბები. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნიდან ხორციელდება გარე მიგრაცია. ამის გამო საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მოსახლეობა შემცირდა. 2002-2014 წლებში ჩატარებული მოსახლეობის ბოლო ორი აღწერით, სწორედ ამ აღწერების შუა პერიოდში მოსახლეობა გარე მიგრაციის შედეგად შემცირდა.

— საქართველოს რეგიონებიდან უფრო ქართული წარმომავლობის ადამიანები გადიან, თუ სხვა ეროვნების?

— ასეთივე პროცესებია საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებში, მაგრამ ბოლო წლებში ძირითადად მაინც ქართველები გადიან საქართველოდან. მომავალში შობადობის დონე რომც არ შემცირდეს და მცირედითაც რომ გაიზარდოს, მიგრაციის შედეგად მოსახლეობის დეპოპულაცია გაგრძელდება ჩვენი რეგიონების სრულ გაუკაცრიელებამდე. თუმცა მანამდე, გაცილებით ადრე ჩვენი ქვეყანა დემოგრაფიულად ისე დასუსტდება, რომ სხვა ხალხი დაიჭერს დომინანტის ადგილს. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, თუ საგანგებო ღონისძიებები არ განვახორციელებთ, საქართველოს 59 მუნიციპალიტეტიდან (ქალაქების გამოკლებით) 30 წლის განმავლობაში 16 მუნიციპალიტეტი გაუკაცრიელდება. ეს ნიშნავს მუნიციპალიტეტების 27%-ის დაცლას; სულ რაღაც 31-40 წელიწადში 15 მუნიციპალიტეტს (ანუ 25,4%-ს) ელის გაუკაცრიელება; 41-50 წელიწადში — 10 მუნიციპალიტეტს (7,0%), ხოლო 50-ზე მეტი წლის განმავლობაში — 18 მუნიციპალიტეტი (ანუ 30,5%) გაუკაცრიელდება.

— ყველაზე მეტად რომელი რეგიონიდან გადიან გარე მიგრაციისთვის?

— მთლიანად ქვეყნის მუნიციპალიტეტები მოსახლეობისგან საშუალოდ 41 წელიწადში დაიცვლება. ამის გაანგარიშება სულაც არ არის ძნელი. მკითხველისთვის რომ უფრო ადვილად აღსაქმელი გახდეს, მოვიტანე გაანგარიშების მაგალითს. ეს ოფიციალური სანდო მონაცემებია, მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული. კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობა 2002-2014 წლებში, ანუ 13 წლის განმავლობაში 50 969 კაციდან 32 089 კაცამდე შემცირდა (ანუ 18 880 კაცი). ამრიგად, თუკი 18 880 კაცი არის შემცირებული კონკრეტული რეგიონის მოსახლეობა 13 წლის განმავლობაში, სულ რაღაც 22 წელიწადში რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი მოსახლეობისგან დაცვდება!

— ეს ნიშნავს, რომ ყველაზე მეტად ხალ-



სი რაჭა-ლეჩხუმიდან და ქვემო სვანეთიდან გადიან?

— არა, ეს მაგალითი მეტი თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანე, თორემ ყველა რეგიონი იცვლება. რა თქმა უნდა, საქართველოში არის შიდა მიგრაციაც, მაგრამ უმეტესად გარე მიგრაციაა. ყველაზე მალე შემცირდება ლენტეხის მოსახლეობა. მართალია, ლენტეხში მცირედი ბუნებრივი მატებაა, ანუ უფრო მეტი იბადება, ვიდრე გარდაიცვლება, მაგრამ 2002 წელს ლენტეხში ცხოვრობდა 8991 კაცი, ხოლო 2014 წელს — 4386, ანუ მიგრაციულ პროცესთა შედეგად ლენტეხის მოსახლეობა სულ რაღაც 13 წელიწადში განახევრდა. კიდევ 13 წელი რომ გაივლის და ამდენივეტი შემცირდება ლენტეხის მოსახლეობა, ჩათვალეთ, რომ ლენტეხში აღარავინ იცხოვრებს.

— თუკი რეაღმდისის გამკაცრება შედეგს არ გამოიღებს, მაშინ ქვეყნიდან ქართველების გაქცევის შესამცირებლად საქართველოში ვიზალიბერალიზაციაზე საკუთარი ნებით უნდა თქვას უარი?

— ვინ მიდის ვიზალიბერალიზაციით? მაქსიმუმ, მოსახლეობის რამდენიმე პროცენტს, რადგან საკმაოდ ძვირი ჯდება ეს ყველაფერი. ვისაც წასვლა უნდოდა და, ვინც ფულიანი იყო, ვისაც სამსახური ჰქონდა, ის ადრეც მიდიოდა. რასაკვირველია, ახლაც მიდიან და უმეტესად უცხოეთში დარჩენას ფიქრობენ. საქართველოში საშინელება ხდება, ბოლო წლებში სოფლების ნახევარი დაცარიელებულია. ძირითადად მოხუცები დარჩნენ, ერთი-ორი ახალგაზრდა ოჯახი თუ კიდევ შემორჩა, მათაც ბარდა აკრეფილი აქვთ. ისინი ხედავენ, რომ მათი ახლობლები, ნათესავები, მეზობლები წავიდნენ, მათი განწყობაც უცხოეთში წასვლისკენაა მიმართული. ამ დროს საქართველოში შემოდის სულ სხვა ერი — ინდოელი, ჩინელი, პაკისტანელი, არაბი, რომლებიც ჯანსაღები არიან, ჯანმრთელები, ისინი ძალიან ბევრს შრომობენ, რადგან, თუ ძლიერად არ იშრომებს, საქართველოში ფესვ ვერ მოიკიდებენ და ვერ დაფუძნდებიან.

— თუკი დასავლეთის ქვეყნების შეფასებებს ვირწმუნებთ, რომ საქართველოდან ცუდი კონტინგენტი მიდის, ეს ნიშნავს, რომ ვიზალიბერალიზაცია კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდება?

— ჩვენგან ცუდი კონტინგენტი არ მიდის. ჩვენგან მიდის ყველაზე ჯანმრთელი, ლამაზი და ახალგაზრდა მოსახლეობა 20-დან 50 წლამდე, რომელიც ყველაზე მშობადი კონტინგენტი. თუმცა მათ მიჰყვება ის არასასურველი კონტინგენტიც, რომელიც არც საქართველოში ვარგა და არც უცხოეთში! აქაც ქურდობენ და იქაც მამაძაღლობენ. დასავლეთ ევროპას ისედაც თავი აქვს ატვირთული სხვადასხვა ქვეყნის ემიგრანტთა ჩასვლით და, ბუნებრივია, არ უნდათ, ამ კატეგორიას ქართველებიც მიემატონ. თუ საქართველოში შეიქმნება ბარიერები, ეს კარგია, მაგრამ ძალიან ძნელია, ამ ბარიერებით შემცირდეს მსურველთა რაოდენობა, რომლებიც აქამდეც არალეგალურად მიდიოდნენ საზღვარგარეთ სამუშაოდ. არც ის დაგვაინტერესებს, რომ, გარკვეულწილად, საზღვარგარეთის სანარმოები თუ ოფისები დაინტერესებული არიან იაფი ახალგაზრდა მუშახელის მიღებით. ეს მათ აწყობთ.

— სხვათა შორის, ჯორჯ ბუშმა დონალდ ტრამპის საიმპერატორო პოლიტიკა გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ამერიკამ მიგრანტები უნდა მიიღოს და მაღლობა უთხრას იმ სამუშაოს შესრულებისთვის, რაზეც ამერიკელები უარს ამბობენ. კერძოდ, ამერიკელებს არ სურთ პაპანაქება სიცხეში, მაგალითად, ბამბის კრეფა.

— რა თქმა უნდა, ამიტომაც სხვადასხვა ქვეყანაში არალეგალურად მუშაობენ ჩვენი ემიგრანტები. თუნდაც საფრანგეთში ფრანგებს არ სურთ ჭურჭლის გარეცხვა რესტორანში, ქუჩებისა და ტუალეტების დაგვა. ასეთ სამუშაოებზე სწორედ არალეგალურად იყენებენ ჩვენი ათი ათასობით არალეგალი და საკვლეთ ევროპის ქვეყნებში დღეს მოხუცთა მომვლელად მუშაობს. ისინი გამუდმებით სახლებში იმყოფებიან, არც გადიან სახლის გარეთ და მოხუცთა მოვლაში ალბულებს კაპიკებს ან აგროვებენ, რათა ჩამოვიდნენ და რაღაც იყიდონ, ან საქართველოშივე უზაგვიან ოჯახის წევრებს და ღარიბ ნათესავებს, მეგობრებს. ამ მიმე მდგომარეობას მართო სამუშაო ადგილთა შექმნა არ უშველის. როგორც ჩანს, უკეთესი ცხოვრებისთვის ზრუნვა ჩვენს მენტალიტეტშიც იყო. ქართველები აქამდე კარგად ცხოვრობდნენ და უცხად რომ ნახეს, ყველა გაიკრიფა, მათაც იგივე სურვილი გაუჩნდათ. წარმოიდგინეთ, სოფლად ცხოვრობდით, თქვენ გარშემო ყველა წავიდა და მუშაზე გეუბნებოდით, აქ რა გვინდა, ჩვენც წავიდეთ ქალაქში. ცხადია, როცა სოფლად ცოტა მოსახლეობა, მინის დამუშავებაც ძნელდება, ტრანქტორი არ არის, სამედიცინო მომსახურება არ არის და იძულებული ხარ, მოჰკიდო ბავშვებს ხელი და წამოხვიდე დედაქალაქში...

მანანა ნოზაძე

95 უკანონოდ მოქმედი სახერხი საამქრო ბაშოვლინდა

ბარამოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1 იანვრიდან დღემდე 20 დაურეგისტრირებელი სახერხი საამქრო და სახერხი საამქროების ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის 75 ფაქტი გამოავლინეს. ამოღებული და დალუქულია 20 ერთეული უკანონო სახერხი დანადგარი. მიმდინარეობს გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშება. უკანონო სახერხი საამქროების ფუნქციონირება ხელს უწყობს ხე-ტყით უკანონო სარგებლობას და არაერთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან არის დაკავშირებული: პირველ რიგში, ასეთი საამქრო არ არის დარეგისტრირებული მერქნული რე-სურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში, რაც იმას ნიშნავს, რომ არ ხდება საამქროში შესული და გადამუშავებული ხე-ტყის ელექტრონული რეგისტრაცია, აღრიცხვა და კონტროლი. ასევე, არარეგისტრირებულ საამქროში ხდება და დამუშავდება უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყე, რომელსაც არ აქვს არც წარმოშობის დამადასტურებელი და არც ტრანსპორტირებისთვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტი.

ქიპში საპარტიულო 4 მოქალაქე დააპაპეს

მათ ბრალად შეიარაღებული თავდასხმები და 300 ათასი დოლარის გატაცება ედებათ. ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალები, კავშირგაბმულობის საშუალებები და ავტომობილების სანომრე ნიშნები ამოიღეს. უკრაინის გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, საუბარია ყაჩაღურ თავდასხმებზე, რომლებიც კიევიში გასულ წელს მოხდა. დაკავებულთა ვინაობა არ სახელდება. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში მათ 5-დან 15 წლამდე პატიმრობა ელით.

„აპანოლიაში“ ბინები გაქურდას

ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩაზე მდებარე მაგნოლიას კორპუსში რამდენიმე ბინა გაქურდეს. მაცხოვრებლების ინფორმაციით, ბინები, სავარაუდოდ, კარგად ორგანიზებული ჯგუფმა გააძარცვა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს. უწყების ინფორმაციით, ფაქტთან დაკავშირებით სამძებრო-საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.



სონერ გოგუას რუსეთის მოქალაქეობა ჩამოართვა!

ავსტრალიის ფონდ „აფ-სნის“ პრეზიდენტი სონერ გოგუას 2017 წელს რუსეთის მოქალაქეობა ჩამოართვა. თავად გოგუას ამბობს, რომ „ლირსი იყო“ და რომ რუსეთმა მას მოქალაქეობა სრულიად სამართლიანად ჩამოართვა.

„როდესაც 1992 წლის ომის დროს აფხაზეთში მის დასაცავად პირველი რეპატრიანტები ჩამოვიდეთ, ბუნებრივად, თურქეთის პას-

პორტები გვქონდა. 1994 წელს, ომის შემდეგ, ჯერ საბჭოთა პასპორტები მოგვცეს, რადგან იმ წლებში აფხაზეთში სხვა პასპორტები უბრალოდ არ იყო. არანაირი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები თურქეთთან არ გვაქვს, ამდენად რეპატრიანტების ძირითად ნაწილს პასპორტებში დაბადების ადგილად აფხაზეთი მიუთითეს. იმ პერიოდში არანაირი პრობლემები არ გვექმნებოდა. შემდეგ ამ საბჭოთა საზღვარგარეთის პასპორტით დაიწყო სიარული თურქეთში და სხვა ქვეყნებში. უკვე შემდგომში ამ პასპორტებით მივიღეთ რუსეთის მოქალაქეობა და საზღვარგარეთის პასპორტები და ამის წყალობით სამომავლოდაც შეგვეძლო მოგზაურობა.

მე გახლდით აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატი, მთელს მსოფლიოში დავდიოდი. არსად და არასოდეს ერთი სიტყვაც არ მითქვამს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ და ჩემთვის დიდი პატივი იყო რუსეთის მოქალაქეობა. დღეს აფხაზეთი სახელმწიფოს ინტერესია, თურქეთსა და რუსეთს შორის კარგი ურთიერთობები დამყარდეს. და ეს ჩვენი ფონდის ერთ-ერთი მიზანია. თუმცა გასული ზაფხულის დასაწყისში რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის კრასნოდარის ბიუროს გადაეცა საქმე იმის შესახებ, რომ მე რუსეთის მოქალაქეობის კუთხით ყალბი საბუთები მქონდა. დიას, ეს მართლაც ასეა. ამას არ ვმალავ. ჩვენ აფხაზეთში არ დავბადებულვართ, ჩემი დაბადების ადგილი თურქეთია. კრასნოდარის ბიურომ აფხაზეთის სახელმწიფო სტრუქტურებს მიმართა და მათ ეს დაადასტურეს. შემდგომ პროკურატურამ საბუთები სოჭში გადაამისამართა. 2017 წლის 15 სექტემბერს იყო სასა-

მართლო და გადაწყდა, ჩემთვის რუსეთის მოქალაქეობა ჩამოერთვათ. ამის შესახებ წერილობითი გადაწყვეტილება 4 დეკემბერს მივიღე.“


როგორც გოგუა ამბობს, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება აქ „არაფერ შუაშია“ და მას სოსუმთან პრეტენზიები არ აქვს, მაგრამ „როდესაც ეს უკვე რეპატრიანტების დიდ რაოდენობას შეეხება, ეს უკვე სოსუმის საქმეც გახდება. ამიტომაც აუცილებელია, დღეიდანვე დაიწყოს რაღაც მოლაპარაკებები, რაღაც ნაბიჯების გადადგმა“.

რამდენიმე პრობლემა შეექმნა. კერძოდ, ცოტა ხნის წინათ რუსი სამხედროების საზღვაო სწავლებამ აფხაზეთის სანაპიროზე თევზჭერას ხელი შეუშალა, რის გამოც სეინერებს ღამით მოუწიათ მუშაობა, ხოლო შემდეგ თევზით დატვირთული ორი სეინერი, რომელიც თურქეთში მიემართებოდა, ქართველმა მესაზღვრეებმა დააკავეს. ამჟამად სეინერები ფოთშია, მიდის სასამართლო და, როგორც გოგუა აცხადებს, მენარმეებს უდიდესი ზარალი მიადგათ.

ქართველ მკითხველს სონერ გოგუა იმ სკანდალიდან ახსოვს, რომელშიც საქართველოს საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე აღმოჩნდა გახვეული. საქმე ჩინეთში, ერთ-ერთ ფორუმზე გადაღებულ ერთობლივ ფოტოს ეხებოდა, რომელზეც საგანელიძეს სხვევთან ერთად სეპარატისტი გოგუაც ედგა გვერდით...
ომგვანოდა
საინფორმაციო
სააგენტო „აქცენტა“

კიევი ოლქის მერი დააკავს

უკრაინის დედაქალაქ კიევის „ბორისპოლის“ აეროპორტში ოდესის მერი გენადი ტრუხანოვი დააკავეს. არსებული ინფორმაციით, ტრუხანოვი ვარშავიდან ბორისპოლის აეროპორტში ჩავიდა, სადაც ის მესაზღვრეებმა დააკავეს და ნაციონალურ ანტიკორუფციული ბიუროს თანამშრომლებს გადასცეს.



ბენიამინ ნეთანიიაჰუს კორუფციის კანონპროექტი

ისრაელის პოლიციამ განაცხადა, რომ საკმარისი მტკიცებულებები შეაგროვა. პოლიციის განცხადებაში ნათქვამია, რომ პროკურატურას რეკომენდაციასთან ერთად გადაეცა მასალები, რომლებსაც იურიდიული ძალა არა აქვს, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. მისი მტკიცებით, სწორედ ამ დოკუმენტებზე იქნება დამოკიდებული მთავრობის ხელმძღვანელის პოლიტიკური მომავალი.

მეცნიერები გლობალური კატასტროფის საშიშროებაზე ალარაობენ

ამერიკელი მეცნიერების ჯგუფის მტკიცებით XXI საუკუნის დასასრულს მსოფლიოს სანაპირო ქალაქები დაიტბორება. ამის მიზეზი, სულ მცირე, სწრაფად დონის ამალგება გახდება. მეცნიერების კვლევა ჟურნალ Proceedings of the National Academy of Sciences-ში გამოქვეყნდა.



სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ასხადებს აუქციონს

მის საკუთრებაში არსებული 10 ერთეული მიწის ნაკვეთის (დუშეთის რ-ნი) საწყისი გასაყიდი ფასის 50%-იანი ფასდაკლებით გაყიდვის მიზნით

აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, სს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის - 2-510-281, მობილურის 577 240-233

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ასხადებს აუქციონს

მის საკუთრებაში არსებული, ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი №5-ში მდებარე ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე არსებული 100კვ არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი: №66.45.13.032), იჯარის ფორმით (დროებით სასაყიდლიან სარგებლობაში) გადაცემის მიზნით

აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, სს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის - 2-510-281, მობილურის 577 240-233

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ასხადებს აუქციონს

მის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთის დასასვენებელი სახლის (უძრავ-მოძრავი ქონების) 25%-იანი ფასდაკლებით გაყიდვის მიზნით

აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, სს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის - 2-510-281, მობილურის 577 240-233

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ასხადებს აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული 5 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების 25%-იანი ფასდაკლებით გაყიდვის მიზნით

აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, სს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის - 2-510-281, მობილურის 577 240-233

მუშარა, გაუმადლარი ნიანი, პირველი დილის დღესასწაული, ლომის ცეკვები და სხვა

მას შემდეგ, რაც ადამიანებმა დროის ათვლა დაიწყეს და თავად „წლის“ მცნება გაჩნდა, ამა თუ იმ მოვლენიდან გასული წამის ათვლა დაიწყო. იმისათვის კი, რომ კაცს თარიღი დამახსოვრობდა, როცა ესა თუ ის წლიური ციკლი სრულდებოდა, ამ დროს ზემის აღნიშვნაც დაიწყო.

მართალია, გრიგორიანული კალენდრით ახალი, 2018 წელი უკვე თვე-ნახევრის წინ დადგა, შობის დღესასწაულამდე ჩაიარა, ბოლო წლებში მსოფლიოში პოპულარული აღმოსავლური მთვარის კალენდრით ახალი, ყვითელი ძაღლის წელი, რომელიც ამ ციკლში მინის ნიშნის მატარებელია, 16 თებერვალს იწყება.

აზიის ბევრ ქვეყანაში ახალ წელს გაზაფხულზე აღნიშნავენ, მისი თარიღი „მომრავია“ და მთვარის კალენდრის მიხედვით იანგარიშება. მაგალითად, ჩინეთში ახალ წელს აღნიშნავენ ზამთრის ბუნობიდან რიგით მეორე ახალმთვარეობას. ეს დღე, ჩვეულებრივ, 21 იანვრიდან 21 თებერვლამდე პერიოდის რომელიმე დღეზე მოდის. ახალი წელი ჩინელებისთვის

კონვერტებით ფულის ჩუქება. ფულს უმეტესად ბავშვებს ჩუქნიან, რათა თავისთვის სასურველი ნივთის შეძენა შეძლონ.

ზამთრის ბუნობის შემდეგ, მეორე ახალმთვარეობას ჩინელების გარდა, აზიის სხვა ხალხებიც აღნიშნავენ, მაგალითად, ვიეტნამელები, რომლებიც მას „თეტნგუნ დანს“, ანუ „პირველი დილის დღესასწაულს“ უწოდებენ. არადა, ამ დღესასწაულის აღნიშვნა ვიეტნამში ორი კვირით ადრე იწყება. ვიეტნამელები, ჩინელების მსგავსად, ამ დღეს ცდილობენ ერთ ჭერქვეშ თავშეყრას, ერთმანეთს სუვენირებს ჩუქნიან, ხოლო რელიგიურ ოჯახებში, სადაც წინაპართა საკურთხეველი არის, ზედსაგანგებო საახალწლო ძღვენს – ხუთ სხვადასხვანაირ ხილს დებენ, რომლებიც სიმდიდრესა და კეთილდღეობას განასახიერებს.

ახალი წლის პირველ დღეს ვიეტნამელები ოჯახს უძღვნიან, მეორეს დღეს – უფრო შორეულ ნათესავებს, მესამეს – მეგობრებს, მეოთხეს კი – მასწავლებლებს. ამის შემდგომ ქუჩებში მასობრივი მსვლელობები იმართება მუსიკით, ფეიერვერკებით და ლომების ტრადიციული ცეკვებით, რომლებიც რაღაცით ჩინურ დრაკონებს ჰგვანან, რომლებსაც შუასაუკუნოვან ტანსაცმელში გამოწყობილი მოცეკვავეები განასახიერებენ.

იაპონელები კი იმით

არიან განთქმულნი, რომ სხვადასხვა ხალხების წესჩვეულებათა ათვისების უნარით გამოირჩევიან. ძველად ისინი მთვარის ჩინურ კალენდარს იყენებდნენ და ახალ წელსაც თავიანთი მეზობლების მსგავსად აღნიშნავდნენ. 1873 წელს კი ამომავალი ზვის ქვეყანაში გრიგორიანული კალენდრის გამოყენება დაიწყო და მას შემდეგ ახალ წელს 1 იანვარს აღნიშნავენ.

ახალი წელი იაპონელთა ყველაზე საყვარელი დღესასწაულია, ამის ერთ-ერთი მიზეზი არდადეგებია, რაც 29 დღეა და დასრულდება 4 იანვრამდე გრძელდება. ეს კი იმ ხალხისთვის, ვინც კიდევ იმითაა გამოჩეული, რომ წელიწადში სხვებზე გაცილებით ნაკლები დასვენების დღეები აქვთ, ამდენი უქმე დღე ნამდვილი ფუფუნებაა.

ისევე, როგორც ევროპაში, ახალ წელს იაპონიაშიც რეკენ ზარებს, ოღონდ არა 12-ჯერ, არამედ – 108-ჯერ. თითოეული ზარის ჩამოკვრა ადამიანის იმ 108 მანკიერებას ან ვნებას განასახიერებს, რომელიც კაცთა მოდგმას ცხოვრებას უშლის ხელს, თითოეული ზარის ჩამოკვრა კი ამ ხელისშემშლელ ფაქტორს აშორებს.

იაპონელებს ჩვენებური ნაძვის ხის ანალოგიც აქვთ, რომელსაც „კადომატუ“, ანუ „ფიჭვი ქიშკართან“ ეწოდება. ესაა ბამბუკის ტოტებისა და თოკებისგან შეკრული ხელოვნური ხე, რომელსაც სხვა მცენარეთა ფოთლებით, წყალმცენარეებითა და ნაირ-ნაირი ხილით რთავენ. საახალწლოდ თავიულებად შეკრული ტოტებით სახლის ოთახებსაც ალაპაზებენ, რომლებზეც ცომიდან გამოქერნილ და ნაირფრად შეღებილ ხასხასა თევზებს ჰკიდებენ.

ინდოეთში ახალ წელს ყველა შტატში განსხვავებულად აღნიშნავენ. თავდაპირველად ყველა მხარეში თითქმის ყველგან სხვადასხვა დროს ზემობდნენ, მაგრამ ბოლოს ყველა შტატში ახალი წლის დადგომის თარიღად თესვის ახალი სეზონის დადგომის დღე – 21 მარტი შეარჩიეს.

ბრიტანელებმა კი ახალი წლის ზამთარში აღნიშვნის ტრადიცია დანერგეს, ამდენად, ინდოეთში ჩვეულებრივ, თავიანთ ახალ წელსაც ზემობენ და ევროპულსაც ცალკეულ შტატებში კი, მაგალითად, ქერალაში, ახალი წლის დადგომას სულაც ივლისის მინურულს, ან აგვისტოს დამდეგს დღესასწაულობენ.

ინდოეთის ბრიტანეთის იმპერიის კოლონიად ყოფნის დროს, იქ მცხოვრები ინგლისელებისგან ადგილობრივმა ხალხმა საახალწლო ხის მორთვის წესი გადაიღო, ოღონდ ნაძვი მანგოს ხით ჩაანაცვლეს, რომელზეც ხშირად ხილს, ან ნუგებარს ჰკიდებენ. ჩრდილოეთის შტატებში მონარათავედ უმეტესად თეთრ და შავიანისფერ ყვავილებს იყენებენ, ცენტრალურ ინდოეთში კი ხეებსაც და სახლებსაც ხასხასა ნოთელი და ნარინჯისფერი დროშებით ამკობენ.

ახალი წლის დღით ინდოელები ბავშვებს საჩუქრებს მიაართმევენ ხოლმე, თანაც საამისოდ საგანგებო რიტუალი არსებობს: თვალეზახვეული პატარები ლანგართან მიჰყავთ, რომლებზეც სათამაშოები და ტკბილეული აწყვია, შემდეგ კი ხილბანდს ხსნიან და ამგვარად ბავშვს სიურპრიზს უწყობენ. საღამოთი ოჯახის წევრები შინ საზეიმო სუფრას უსხდებიან, შემდეგ კი გარეთ, სხვებთან ერთად სასეირნოდ გადიან. ქუჩებში ზოგჯერ კოცონებში ძველ სამოსელს, ან სხვა რაიმე არასაჭირო ნივთებს წვავენ.

მონღოლეთში ახალ წელს ორჯერ ხვდებიან. თავდაპირველად 31 დეკემბერს, შემდეგ კი მთვარის კალენდრით, ზამთრის მინურულს. ევროპულ ახალ წელს ევროპული ტრადიციებით ხვდებიან, მთვარის კალენდრით ახალ წელს კი იმ წესების მიხედვით, რომლებიც 1206 წელს ჩინგისხანმა დაადგინა. თავდაპირველად მთვარის ახალი წელი შემოდგომით აღიწინებოდა და მესაქონლეობის დღესასწაულს ემთხვეოდა, მაგრამ შემდეგ ჩინგისხანის შვირიანმა ხუბილაიმ, ჩინელების მიზაძეით, დღესასწაული თებერვლის ბოლოსკენ გადასწავა.

მონღოლურ ახალ წელს „ცაგან სარი“ ეწოდება, რაც „თეთრ თევს“ ნიშნავს. წინა დღით მონღოლები ძველ წელს ემშვიდობებიან, მეორე დღეს ერთმანეთს ახლის დადგომას ულოცავენ და საჩუქრებს ჩუქნიან, შემდეგ კი ახლობელი ნათესავების მონახულებას იწყებენ. იმის სამახსოვროდ, როცა ახალი წელი ჯერ კიდევ მესაქონლეობა დღესასწაული იყო, ამ დღეს დო-

ლებსა და მხედართა მოქნილობისა და სიმამაცის შეჯობრებებს აწყობენ.

ყველაზე მეტი საახალწლო დღესასწაული კი ისრაელშია, სადაც სამჯერ ზემობენ. გრიგორიანული კალენდრით ახალ წელს იქ ევროპიდან ამოსული ალიების, მათ შორის, ქართველი ებრაელები, საკმაოდ მოკრძალებულად აღნიშნავენ – 1 იანვარი ისრაელში სამუშაო დღეა. გაცილებით უფრო პომპეზურად ზემობენ იუდეველთა ახალ წელს, რომელსაც „თიმრის“ თვის 1 და 2 რიცხვში აღნიშნავენ, ეს თარიღები შესაძლოა, სექტემბერში ან ოქტომბერში მოდიოდნენ. ივრითზე მას „როშ ა-შანა“ ეწოდება და ორ დღეს გრძელდება, რა დროსაც საჭიროა მისი ახლობელ-მეგობრებისთვის მილოცვა – პირადად, ან ბარათით, ან გზავნილით. მაგრამ ეს დღეები მარტო მხიარულებას არ ემთხობა, მორწმუნე ებრაელებისთვის ახალი წლის პირველი დღე განსჯის დრო-ჟამია, რათა დაუფიქრდეს, თუ როგორ გაატარა გასული წელი, კიდევ ერთხელ შეაფასოს გასულ წელს მიღებული გადაწყვეტილებები, საქციელები, დასახოს გზები დაშვებულ შეცდომათა გამოსასწორებლად.

იუდეველთა მესამე საახალწლო დღესასწაულს „თუ ბი-შვათი“, ანუ „ხეთა ახალი წელი“ ეწოდება, ეს ის დროა, როცა ბუნება ზამთრის ძილისგან დღვიძებს და მისთვის სიცოცხლის ახალი ციკლი იწყება. ის შვათის თვის მე-15 რიცხვშია ხოლმე: გრიგორიანული კალენდრით ეს თარიღი, ჩვეულებრივ, თებერვალზე მოდის. ამ დღეს იუდეველები არა მარტო ზემობენ, არამედ ხეებსაც რგავენ.

ყველაზე უჩვეულო ახალ წელს კი ტაილანდში აღნიშნავენ, რომელსაც „სონგ-



ფოტო: ს. მამუკაძე



დროის ამ ციკლის ყველაზე ხანგრძლივი და მთავარი დღესასწაულია, მისდამი მიძღვნილი ღონისძიებები 15 დღეს გრძელდება. ამ დროს აუცილებელი ატრიბუტია ფეიერვერკი, რომლებსაც არა მარტო სილამაზის გამო, არამედ ავ სულთა დასაფრთხობლადაც უშვებენ. მათგან მთავარი პერსონაჟია ნიანი, რომელიც ლეგენდით, ყოველ ახალ წელს დედამიწაზე ჩამოდის და რომელ სულიერსაც გადაეყრება, ყველას სანსლავს. მაგრამ ვინაიდან ნიანს ხმამაღალი ბგერებისა და ნოთელი ფერის ძალიან ეშინია, ამიტომ დღესასწაულის მე-15 დღეს ჩინელები ქუჩებში ღია ხასხასა ნოთელი ფერის დიდ ფარებს ანთებენ, რომლებსაც ხეებზეც ჰკიდებენ. ასეთ ხეებს **სინათლის ხეებს** უწოდებენ, ისინი რაღაცით ევროპულ საახალწლო და საშობაო ნაძვის ხეებს ჰგვანან, რომლებსაც ნაირფერი სათამაშოებითა და გირლიანდებით ვრთავენ.

საახალწლო ზემის დღეებში ჩინეთის ქალაქებსა და სოფლებში სადღესასწაულო მსვლელობებს აწყობენ, რომლებშიც სამასკარადო სამოსელში გამოწყობილი ხალხი მონაწილეობს. მათი უმრავლესობა წლის სიმბოლოს გამომხატველი ცხოველების სამოსელს ირგებს. ამდენად, როგორც უკვე ვთქვით, იქაური ახალი, ყვითელი ძაღლის წელი გრიგორიანული კალენდრით 2018 წლის 16 თებერვალს იწყება.

იმის მიუხედავად, რომ ახალ წელს ჩინეთში დიდი ხმაურით აღნიშნავენ, ის მაინც მყუდრო, საოჯახო დღესასწაულია. ამ დროს ოჯახის ყველა წევრი, რაგინდ შორს იმყოფებოდეს, თავშეყრას ცდილობს, შემდეგ კი თავიანთ ნათესავ-მეგობრებს სტუმრობენ. ახალი წლის აღსანიშნავად მიღებულია საჩუქრების მირთმევა, ესენია: დამდეგი წლის სიმბოლოები, ანდა დაწყვილებული ნივთები, უფრო ხშირად ტყუპი ფინჯნები, ანდა პატარა ქანდაკებები, რომლებიც საერთო კომპოზიციებს ჰქმნიან. გარდა ამისა, ახალ წელს ჩინეთში მიღებულია ნოთელი, ლამაზი

თურქეთში თევზი-რობოტი შექმნა

თურქეთის Firat ტექნიკური უნივერსიტეტის ინჟინრებმა თევზი-რობოტის 7 პროტოტიპი შექმნეს, რომელთაც წყალქვეშ დაკვირვებების წარმოება შეუძლიათ.

თევზი რობოტი „მ-ტექნოლოგიების დახმარებით შეიქმნა და მას ტუნას ფორმა აქვს. როგორც მეცნიერებებთან დოქტორი ოზმენ კოკი განმარტავს, სპეციალური გადამცემების მეშვეობით თევზ-რობოტს მის გარშემო არსებული ვითარების გადმოცემა დეტალურად შეუძლია.

„თევზი“ შესაძლოა, გამოყენებული იყოს წყალქვეშა თვალთვალისთვის, სადაზვერვო და სამხედრო მიზნებისთვის.

სამომავლოდ თურქეთი თევზი-რობოტების ახალი პროტოტიპების შექმნას და ამ მიზართულებით მუშაობის გაძლიერებას გეგმავს.

შესვენება საქართველოს საფეხბურთო

მინიმუმ და ქარმა გარკვეული კორექტივები შეიტანა ზამთრის ოლიმპიური თამაშების კალენდარში. ორგანიზატორებმა რამდენიმე სტარტი გადაიტანეს, მათ შორის - 12 თებერვლისთვის Yongpyong Alpine Centre-ში დანიშნული ქალთა გიგანტური სლალომი, სადაც ჩვენი სამთო მოთხილამურე ნინო ნიკლაური უნდა გამოხდეს. ამ დისციპლინაში ოლიმპიური მედლები დღეს უნდა გათამაშდეს, ხვალ კი, ადრე დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, შეჯიბრება სლალომში ჩატარდება. განაცხადში სულ 83 სპორტსმენია შეყვანილი და ნიკლაური მე-60 გამოვა.

„რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ არის, როცა კალენდარი იცვლება, მაგრამ ასეთი რამ არცთუ იშვიათად ხდება ჩვენს სახეობაში. სამთო მოთხილამურეები ამას მიჩვეულები ვართ. იმედი, ხვალ კარგი ამინდი იქნება და პირველი სტარტი შედგება. ეს დღეები უქმად არ გამოიტარება — ინტენსიურად ვვარჯიშობ და ვემზადები. დიდ შეჯიბრებებზე გამოსვლის საკმაოდ გამოცდილება დამიგროვდა და, იმედით მაქვს, რომ შევძლებ ამ ოლიმპიადებზე კარგი შედეგი ვაჩვენო“, — ამბობს ნინო ნიკლაური.

სანამ ჩვენი სპორტსმენები — ნინო ნიკლაური, მორის ყვითელაშვილი და ისაონ აბრამაშვილი უმნიშვნელოვანესი სტარტებისთვის ემზადებიან, ქართული ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელები პიონერიდან სეულში ჩავიდნენ და კორეის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ესტუმრნენ. ჩვენი საელჩო კორეის დე-



დაქალაქის ისტორიულ უბანში, ორსართულიან ოფისშია განთავსებული.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ოთარ ბერძენიშვილმა სტუმრებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია საელჩოს საქმიანობის შესახებ. როგორც ელჩმა აღნიშნა, საქართველოს საელჩოს დაფუძნება და 2015 წელს თბილისში კორეის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის ჩამოყალიბება, როგორც ჩვენი ქვეყნების, ისე კორეელი და ქართველი ხალ-

ხების ორმხრივი მზარდი კავშირების ნათელი მაგალითია. თვით ბერძენიშვილი კორეის რესპუბლიკაში ელჩად შარშან დაინიშნა. მასთან ერთად საქმიანობენ მრჩეველები — დავით ჩიკვაძე და ზაალ ჭკუასელი, ფინანსური მენეჯერი თეა კლდიაშვილი და მდივანი ანჯელკიმი.

„ჩვენთვის დიდი პატივია, აქ, შორეულ კორეაში გიმასპინძლოთ ქართული ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის ხელმძღვანელებს. თითოეული თქვენგანი ძალიან საჭირო და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, რათა ჩვენი ქვეყანა წარმატებული იყოს სპორტში. დიდად ვაფასებთ თქვენს გამოცდილებას და პროფესიონალიზმს. როგორც ხედავთ, საელჩოში მობილიზებულია იმისთვის, რომ მაქსიმალურად შეგიწყოს ხელი ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში. ამ დღეებში სწორედ ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა და მისია“, — განაცხადა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, პიონერის ზამ-

თრის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ქვეყნის დელეგაციის ხელმძღვანელმა ლერი ხაბელოვმა მადლობა გადაუხადა ელჩს გულითადი მასპინძლობისთვის და ოლიმპიურ კომიტეტთან აქტიური თანამშრომლობისთვის, რაც უკვე რამდენიმე წელიწადს ითვლის. მან გაიხსენა 2016 წლის რიო დე ჟანეიროს ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, როცა ოთარ ბერძენიშვილი ბრაზილიაში საქართველოს დიპლომატიურ მისიას ხელმძღვანელობდა: „ჩვენს თანამშრომლობას სწორედ ბრაზილიაში ჩაყარა საფუძველი, დღეს კი შემოიღია თამაშად ვთქვა, რომ თქვენ ქართული ოლიმპიური ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ბრძანდებით. თქვენი მხარდაჭერა მისასაღებელი და დასაფასებელია. მინდა პირადად თქვენ და საელჩოს თანამშრომლებს მადლობა მოგახსენოთ გამოჩენილი ყურადღებისა და გვერდში დგომისთვის“, — აღნიშნა ლერი ხაბელოვმა.

შესვენებაში მონაწილეობდნენ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე, სეოკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, სეოკის ვიცე-პრეზიდენტი, ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი მამუკა ხაბარელი, სეოკის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი რუსუდან აფციაური და საქართველოს ფიგურული სრიალის ფედერაციის პრეზიდენტი მარიამ გიორგობაიანი.

ელჩმა ოთარ ბერძენიშვილმა სტუმრებს საჩუქრად გადასცა ახლახანს კორეულ ენაზე გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“.

ვიტალი ჯაფარიძე

რაგბი ჩვენი თაგაშია!

ედი ჯონსი:

„ჩვენმა ბიჭებმა ქართველებთან პარჯიშით ბეჭი ახალი რამ ისწავლეს“

საბარტეველოსა და ინგლისის ნაკრებებმა ლონდონში პირველი ერთობლივი ვარჯიში გამართეს. იმისათვის, რომ ვარჯიში მეტად ნაყოფიერი ყოფილიყო, როგორც მსგავსი შეკრებების დროს ხდება, მასპინძლებმა ცნობილი ინგლისელი რეფერი უეინ ბარნსი მიიწვიეს.

თავდაპირველად შერკინებისა და ხაზის მოთამაშებზე ცალ-ცალკე ივარჯიშეს, ფორვარდებმა — უმეტესად შერკინებაში, ხოლო ვარჯიშის ბოლოს ერთობლივი წვრთნა ჩატარდა.

შერკინების ვარჯიშით კმაყოფილი იყო ინგლისელთა ავსტრალიელი თავკაცი ედი ჯონსი:



„ქართველები თავსა და მხრებს განსხვავებულად იყენებენ, რითაც წნეხს თავიდანვე, ფეხების მოძრაობაზე ქმნიან. მათი შერკინება ძველი და ახალი სტილის სინთეზს წარმოადგენს. შერკინება ლამისაა მათი ცხოვრების ნაწილი. მერწმუნეთ, ჩვენმა ბიჭებმა ბევრი ახალი რამ ისწავლეს და შესანიშნავად გაიარეს ადაპტაცია“.

ედიმ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ქართულ შერკინებას მსოფლიოში საუკეთესოდ მიიჩნევენ და არ გამოირჩება, რომ მსგავსი ერთობლივი ვარჯიშები მომავალშიც გაიმართოს:

„ბევრი გუნდი ცდილობს ასე შერკინებას, მაგრამ საქართველოს ამ ასპექტში ვერაინ შეედრება. სხვებიც ცდილობენ თავისა და მხრების გამოყენებით მეტოქის შერკინება არასტაბილური გახადონ, მაგრამ ქართველებს ეს საუკეთესოდ გამოსდით.“

ქართველ მწვრთნელებთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს, ერთობლივი ვარჯიშით ორივე მხარე დიდ სარგებელს იღებს და არაა

„ფანტასტიური იყო... საქართველოს სწორედ ისეთი შერკინება ჰყავს, რომლის წინააღმდეგაც მუდამ უნდა გინდოდეს ვარჯიში. ესაა ძალიან ძლიერი შერკინება, რომელიც სხვებისგან განსხვავებულად მუშაობს. ვერც კი ვინატრებდი, ისეთი ვარჯიში იყო და ბიჭებმა ბევრი ახალი რამ ისწავლეს. მე მათ ვესაუბრე და აღტაცებულები არიან“.

ჯონსი ქართული შერკინების განსხვავებულობის და სიძლიერის მიზეზებზეც დაფიქრდა და თვლის, რომ:

გამორჩეული, მსგავსი ღონისძიებები მომავალშიც დაიგეგმოს. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ამისათვის ლიმიტირებული დრო გვაქვს. ჩვენი სურვილია, რომ მსოფლიოში ყველაზე დომინანტი შერკინება გვყავდეს. ამისგან ჯერ შორს ვართ, თუმცა, სწორი მიმართულებით მივდივართ. დღეს გვექნა შესანიშნავი შანსი გვესწავლა, თუ როგორ უნდა ვითამაშოთ შერკინებაში უფრო ეფექტურად“.

კობა კობახიძე

სეზონის სტარტზე



სუპერთასი - 24 თებერვალი

საბარტეველოს ფეხბურთის ფედერაციამ 2018 წლის სუპერთასის მატჩის ჩატარების დრო და ადგილი გამოაცხადა. როგორც სფფ-ს პრეს-სამსახური იცხობინება, ქვეყნის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ და თასის მფლობელი საჩხერის „ჩიხურა“ ერთმანეთს 24 თებერვალს თბილისში დაუპირისპირდებიან. შესვენება დავით პეტრიაშვილის სახელობის სტადიონზე 15 საათზე გაიმართება.

ბანურარ ბიორბაძე

ფეხბურთი

„მამლება“ „ქალბატონი“ დაჩხვლიტეს

ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფის კენჭისყრამ რამდენიმე ტოპ-წევლი გამოაცხადა. ერთ-ერთი მათგანი: „იუვენტუსი“ — „ტოტენჰემი“ ახალ სეზონში სადებიუტო აღმონდა და სრულად გამართლა საფეხბურთო სამყაროს იმედი — 2:2. მოვლენათა ასეთ განვითარებას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი იგუანის მიერ სტანდარტულების შემდეგ გატანილი სწრაფმა გოლებმა — მან ჯერ პიანის დაუფასა საჯარიმოდან ფილიგრანული გადაცემა, ხოლო მე-9 წუთზე ბერნარდესკის წინააღმდეგ დარღვეული წესები აქცია პენალტით დუბლად. „ბევერი ქალბატონისგან“ ასეთი დასაწყისი დიბალას, კუადრადოს, ბარძალისა და ლიხტაინერის არყოფნაში ნოკდაუნის ტოლფასი იყო, მაგრამ მათთვის პოზიტივით მალევე გამოიყვანა შოკიდან „მამლები“ და მათაც მეთოდურად მოუხშირეს მრისხანე მეტოქის დაჩხვლევას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ლოგიკურად გამოიყურებოდა ჰარი კეინის მიერ მასპინძელთა დასჯა, რაც კეინისა და ბუფონის პოზიციურ შეცდომას მოჰყვა — 1:2.

და მაინც, შესვენების წინ იყო მომენტი, როცა მასიმილიანო ალევრის გუნდს სტუმართვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენება შეეძლო — დიეგო კოშტას ჩვეული ფლანგური გარღვევის შემდეგ გერმანელმა მსაჯმა ფელიქს ბრიხმა უგო ლორისის კარში მეორე პენალტი დანიშნა. „პიპიტას“ ამჯერად ნერვებმა უმტყუნა და ბურთი ზედა ძელმა მოიგერია. ბრძოლის განახლებისთანავე გნებები დაცხრა და თითქოს ორივე მხარე შეეგუა


ტაბლოზე გამოსახულ ციფრებს, მაგრამ...

75-ე წუთზე უკვე საპენსიო ასაკის კეინი — ბუფონის დუეტის მორიგი საბედისწერო „იალიში“ ერთქნისის მომაკვდინებელი საჯარიმო გასროლით დასრულდა — 2:2.

ასე რომ, 7 მარტს „უმეზლიზე“ გაგრძელება იქნება, თქვენი მოწონებულები. ყოველ შემთხვევაში, გესურს, ასე იყოს.

„ბაზელი“ — „სიტი“ 0:4.
გოლები: გუნდოგანი (2), სილვა, აგუერო.

გიორგი შოთაძე



ეპიტაფია

გამორჩეული პიროვნება, გამორჩენილი მესხიერი თედო უთურგაიძის ხსოვნას

ქართულმა მეცნიერებამ და ქართველმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა – 2018 წლის 12 თებერვალს გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და მოღვაწე, ქართული ენის დიდი მოამბე, მაღალი ადამიანური ღირსებებით უხვად დაჯილდოებული პიროვნება, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თედო უთურგაიძე.



თედო (თედორე) უთურგაიძე დაიბადა 1927 წლის 20 ივნისს ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1945-1950 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1950-53 წლებში აკად. აკ. შანიძის ხელმძღვანელობით წარმატებით გაიარა ასპირანტურის სრული კურსი. 1954 წელს წამოიწყო „თუშური კილო“ მენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1971 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტში ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართული ენის მთის კილოთა ფონემატური სტრუქტურა ქართულთან მიმართებით“.

თველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებით თუ უმაღლესი სასწავლებლებისათვის მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. ის იყო მრავალი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, კონსულტანტი, ოფიციალური ოპონენტი.

პროფ. თ. უთურგაიძე აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობაში. 16 წელი უძღვეოდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებას; 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ფაქტობრივად ის წარმართავდა ჩვენში დიალექტოლოგიურ კვლევა-ძიებას და რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში იმართებოდა; თ. უთურგაიძის რედაქტორობით გამოიცა დიალექტოლოგიური კრებულები; მისი ხელმძღვანელობით გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სისტემატურად ეწყობოდა სამეცნიერო ექსპედიციები დიალექტოლოგიური მასალის მოსაპოვებლად; ამ ექსპედიციებში პროფესორ-მასწავლებლებთან და მეცნიერ-მუშაკებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც, რაც მათ სამეცნიერო წვრთნას უწყობდა ხელს; ამასთან, ამ ექსპედიციებს საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა – საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს აცნობდა ახალგაზრდობას.

პროფ. თ. უთურგაიძე ქართული უმაღლესი სკოლის თვალსაჩინო პედაგოგი იყო. პედაგოგიური მოღვაწეობა მან წ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაიწყო. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან კი კითხულობდა ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; მიჰყავდა სალექციო კურსები: ახალი ქართული ენა, ძველი ქართული ენა, ქართული დიალექტოლოგია, ქართული ენის ისტორია, ქართული ენის სტრუქტურული ანალიზი, ქართული ენობრივი სისტემები...

პროფ. თ. უთურგაიძის დამსახურება რამდენჯერმე ღირსეულად დაფასდა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ 2002 წელს წამოიწყო „ქართული ენის ისტორია“ მიანიჭა აკად. არნ. ჩიქობავას პრემია; 2013 წელს დააჯილდოვა ღირსების ორდენით; იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობასა და სასწავლო პროცესის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოვა ივ. ჯავახიშვილის მედლით... უკმაირსობის გრძობა მისი ნიჭისა და ღვაწლის ობიექტურ დამფასებლებს მაინც აქვთ.

პროფ. თ. უთურგაიძე გამორჩეული ადამიანი იყო, მოშიბლავი პიროვნება – გარეგნობითაც და შინაგანი თვისებებითაც. ამშვენებდა თავმდაბლობა, რბილი ხასიათი, კეთილგანწყობილება, მიმტევებლობა, გულისხმიერი დამოკიდებულება; გულის სითბოს არავისთვის იშურებდა. ეს მას ხელს არ უშლიდა, ყოველივე უაღრესად პრინციპული ამა თუ იმ სამეცნიერო თვალსაზრისის დაცვისას.

პროფესორი თედო უთურგაიძე – დიდი მეცნიერი და მოქალაქე, მუდამ დარჩება ქართული მეცნიერების ისტორიასა და ქართველი საზოგადოების მესხიერებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; კუმიანთარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი; არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

თედო უთურგაიძე დაიბადა 1927 წლის 20 ივნისს ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1945-1950 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1950-53 წლებში აკად. აკ. შანიძის ხელმძღვანელობით წარმატებით გაიარა ასპირანტურის სრული კურსი. 1954 წელს წამოიწყო „თუშური კილო“ მენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1971 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტში ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართული ენის მთის კილოთა ფონემატური სტრუქტურა ქართულთან მიმართებით“.

პროფ. თ. უთურგაიძე თითქმის 70 წელი იღვანა სამეცნიერო ასპარეზზე. ღვთისაგან ბოძებული ნიჭისა და შრომისმოყვარეობის წყალობით, სამეცნიერო კვლევის დიდი უნარის, სისტემატური და მიზანმიმართული მუშაობის შედეგად შექმნა 200-ზე მეტი პირველხარისხის ნაშრომი, მათ შორის – II მონოგრაფია, რომელთაც ვერცერთი ქართველოლოგი გვერდს ვერ აუვლის.

თ. უთურგაიძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გამოიჩინა თავი, როდესაც გამოაქვეყნა თავისი პირველი საყურადღებო ნაშრომი „ფონეტიკური მოვლენები თუშურში“. შემდგომ სწორედ ქართული ენის ფონეტიკა გახდა მისი კვლევა-ძიების ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი. ამ მიმართულებით წარმართული მუშაობის შედეგები შეჯამებულია მრავალი სიახლით გამორჩეულ მის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“, რომელშიც ავტორმა ქართული ენის ფონეტიკური სისტემის არგუმენტირებული და ორიგინალური ანალიზი წარმოგვიდგინა.

გამორჩეულია პროფ. თ. უთურგაიძის ღვაწლი ქართული ენის მორფოლოგიური სისტემისა და ქართული ზმნის გრამატიკულ კატეგორიათა ურთიერთმიმართების შესწავლის საქმეში. დიდი მისი წვლილი საქართველოში ენათმეცნიერული აზროვნების განვითარების ისტორიის კვლევის მიმართულებით.

პროფ. თ. უთურგაიძე იყო ნოვატორი მეცნიერი. ამ თვალსაზრისით გამოსაყოფია მისი დამსახურება ქართული ენის კომპიუტერული მოდელირების საკითხების დამუშავებაში. ენის ფორმალური ზაციონისათვის მის მიერ ჩატარებულმა სამუშაომა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. თ. უთურგაიძის მიერ შემუშავებულ მოდელებს დაემყარა შემდგომში არაერთი კვლევა.

ღამოვილობა



ქნელია მამბურჯა წარსული საუბარი

თამაზ ბაქანიშვილი იყო განათლებული, ინტელიგენტი და უაღრესად კეთილშობილი პიროვნება. მან თავის თანამოაზრებთან ერთად დააფუძნა პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და 1999 წლიდან პარტიის თავმჯდომარის მოადგილეა.

ჩვენ ერთად გამოვიარეთ ურთულესი წლები, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე იდგა. იგი თავისი პრინციპულობითა და საქმისადმი პროფესიონალური დამოკიდებულებით ყოველთვის გამოირჩეოდა. თამაზი იყო გვერდში მდგომი ადამიანი ჭირსა და ღვინაში. იყო კარგი მეგობარი, მეუღლე, ძმა და მამა. დიდი მწუხარებით ვემშვიდობებით თამაზ ბეჟანიშვილს. ჩვენთვის, მისი მეგობრებისთვის, მძიმე დანაკლისია მისი ამ ქვეყნიდან წასვლა.

მრეწველბაი.

შპს „საქგზამეცნიერება“-ს კოლექტივი დიდი გულისტკივლით უსამძიმრებს გენერალური დირექტორის მოადგილეს რამინ ძნელაძეს ძმის

მურმან ძნელაძის

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 15, 16, 17, 18 სთ. დაკრძალვა 17, 14 სთ. მის. ქ. სამტრედია, საიათნოვას ქ. 15.

თამაზ შილაკაძე ოჯახით იუნყება ახლო მეგობრის რამინ ძნელაძის ძმის


მურმან ძნელაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და სანათესაოს.

საუფლო დღესასწაული

მირქმა

ვიგაბაა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტისი



15 თებერვალს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მაცხოვრის მირქმა-მიგებებას.

...ცნობილია, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე იმ სასწაულ ღამეს (რომელსაც მაცხოვრის შობა ჰქვია) იშვა და 40 დღის შესრულების შემდეგ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მისი დამწვინდველი იოსები ტაძარში მოვიდნენ; წესისამებრ ახალნაშობიარევე დედას არა აქვს უფლება ტაძარში იაროს, ვიდრე არ წაეკითხება განმნდის ლოცვები. ...დედა ღვთისმშობელს განმნდის ლოცვები არ სჭირდებოდა, რადგან ის ქალწულად დარჩა, მაგრამ მან მაინც შეასრულა ღვთის კანონი.

საგულისხმოა ისიც, რომ დედა ღვთისმშობელს და მართალ იოსებს, რომლებიც ტაძარში ჩვილით მივიდნენ, მიეგება სული წმიდის მაღლით ცხებული სვიმეონ-მართალი-მომრქმელი.

ნიშნდობლივია, რომ სვიმეონ მიმრქმელი იყო ერთ-ერთი 70 ებრაელთაგან, რომელთაც ებრაულიდან ბერძნულ ენაზე უნდა ეთარგმნა ბიბლია...

აღსანიშნავია, რომ წმინდა სვიმეონთან ერთად ტაძარში იმყოფებოდა 84 წლის ქვრივი – ანა წინასწარმეტყველი, ისიც გახდა უფლის მირქმის (მიგებების) ხილვის ღირსი.

მირქმის დღესასწაულს განსაკუთრებული ზემოთ ხედებიან მისივე სახელობის ტაძარში.

გიული ლიპარტია

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

„ჩემი ბედნიერი ოჯახი“ და „მზის გოგონები“ საქართველოში გადაიღეს...

საქართველო, როგორც აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო კინოგადაღების ლოკაცია...

„პოსტსაბჭოთა ქვეყანა, კინომწარმოებლებს განსხვავებულ, ამოუცნობ და ეგზოტიკულ ლოკაციებს სთავაზობს“ – ამ სათაურით ამერიკულმა გამომცემლობამ Variety, საქართველო აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კინოგადაღების ლოკაციად აღიარა და მისი პოტენციის შესახებ მნიშვნელოვანი სტატიაც კი მოამზადა.

„საქართველომ, როგორც ტრანსკონტინენტურმა ქვეყანამ, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის გასაყარზე მდებარეობს, ბოლო წლების მანძილზე საერთაშორისო აღიარება მოიპოვა კინოინდუსტრიის სფეროში, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კინოგადაღების ლოკაცია. მათ, ვინც უკვე ერთხელ იმოგზაურეს და გამოიყენეს საქართველოს პოტენციალი, აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ აქტიურად გეგმვენ ახალ პროექტებზე მუშაობის გაგრძელებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.“

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი გამოჩენილი კინორეჟისორი, რომელსაც საქართველოში მუშაობის დიდი ხნის გამოცდილება აქვს, ოსკარზე ნომინირებულ კინემატოგრაფი და რეჟისორი ფედონ პაპამიჩაიელია, რომელიც საქართველოში პირველად 1999 წელს, 19 წლის ასაკში ნანა ჯორჯაძის ფილმის „27 მონარქული კოცნა“ გადასაღებად ჩამოვიდა. სულ ცოტა ხნის წინათ კი, საქართველოში მუშაობა დაასრულა ლევან კოლეაშვილი.

ვილის ფილმზე „ბრაიტონ 4“, რომლის გადაღებებიც ამჟამად ბრუკლინში მიმდინარეობს. საქართველოსადმი პირველ შთაბეჭდილებას პაპამიჩაიელი ერთი ფრაზით იხსენებს: „ველური დასავლეთი“ ძველი ინფრასტრუქტურით, ანტიკვარული ტექნიკა-აპარატურით და ძალიან მომხიბვლელი, სტუმართმოყვარე ხალხით.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების მანძილზე ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა, კერძოდ: გაუმჯობესდა გზები, გამარტივდა ლოჯისტიკა, აშენდა არაერთი მაღალი დონის სასტუმრო და შეიქმნა საერთაშორისო სტანდარტების საპროდიუსერო კომპანიები, რომლებიც მაღალი დონის მომსახურებითა და აპარატურით გამოირჩევიან. ზემოხსენებულმა პირობებმა ძალზედ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კინოინდუსტრიის განვითარებაში და უცხოელი კინომწარმოებლების მოზიდვაში.

კინორეჟისორების განცხადებით, ადგილობრივი საპროდიუსერო კომპანიების ხარჯები, საკმაოდ ხელმისაწვდომია პოლიგუდის ისეთ ლოკაციებთან მიმართებაში, როგორებიცაა: პრაღა, ლონდონი თუ სხვა ევროპული ქალაქები, რაც საქართველოს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის და მეტ კინომწარმოებელს უბიძგებს, რომ მათი პროექტები სწორედ აქ განახორციელონ. მსგავს პირობებს ხელს უწყობს კინოინდუსტრიის წახალისების პროგრამა „გადაიღე საქართველოში“.

Country of Georgia Makes Pitch to Become Major Filming Destination

Former Soviet Republic provides exotic locations never before seen by producers or audiences

By Leo Barraclough | @LeoBarraclough



სულ ცოტა ხნის წინათ, რამდენიმე საერთაშორისო პროექტთან ერთად საქართველოში ფრანგმა კინომწარმოებელმა ევა ჰადსონმა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საავტენტოს „წარმოე საქართველოში“ პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში, ფილმი „მზის გოგონები“ („Girls of the Sun“) გადაიღო, რომელშიც 2 განსხვავებული ქალის ცხოვრება აღბეჭდა. შეიძლება ითქვას, რომ ქართული კინოინდუსტრია კინომწარმოებლის ტრადიციას იბრუნებს, ნელ-ნელა უბრუნდება წარმატების გზას.“

მსოფლიოში ყველაზე დიდი აეროპორტი

მსოფლიოში ყველაზე დიდი აეროპორტი პეკინთან ახლოს შენდება. მსოფლიოში ყველაზე დიდი აეროპორტის მშენებლობა 2019 წლისთვის დასრულდება. ამ დროისათვის აეროპორტის მოფრენის დარბაზის კარკასის მშენებლობა სრულდება, რომლის ფართობიც 313313 კვ/მ იქნება. ყოველწლიურად აეროპორტი 620 ათას რეისსა და 2 მლნ ტონა ტვირთს მიიღებს და ასევე 72 მლნ მგზავრს მოემსახურება. ხელისუფლებაში მიაჩნიათ, რომ პეკინის ახალი აეროპორტი არსებულ აეროპორტს განტვირთავს და მუშაობას შეუმსუბუქებს.



განსაცინებელი ა(მ)ბაზი

ამერიკელი ბიძიკო

პონიატოვსკი ქუჩაში შესვლა და თავის მოვალეს და ჰკითხა:

- ბოლოს და ბოლოს, როდის დამიბრუნებ ვალს?
- როგორც კი ჩემი ბიძიკო ამერიკიდან დაბრუნდება.
- მაგას შენგან მთელი წელია ვისმენ და აღარ მჯერა შენი ამერიკელი ბიძიკოსი...
- შემოიღია, წერილი გაჩვენოთ, რომელიც გუშინ ბიძიჩემისგან მივიღე. – უთხრა მოვალემ.
- რაო, რას გწერს?
- რას მწერს და მაშინვე წამოვალ, როგორც კი შენგან გზის ფულს მივიღებო!

შენი ბრალია

რესტორანში სადილად შესული ოფიციანტს უხმობს:

- ქათამი, რომელიც მომიტანე, ძალიან ძველია!
- შენი ბრალია, ბატონო!
- რატომ?

სურდო

ციხის კამერაში ორი ტუსალი სასჯელს იხდის.

- შენ რატომ ზისხარ? – ეკითხება ერთი მეორეს.
- სურდოს გულისთვის.
- ეგ როგორ?
- სულ უბრალოდ, დავაცემინე და დარაჯს გაეღვიძა.

სანიღარი

ლამაზი ქალიშვილი გზატკეცილზე მანქანას აჩერებს და გაყოლას სთხოვს.

- კი, ბატონო, მაგრამ ჯერ მარცხენა ხელისგული მაჩვენეთ, – ეუბნება მძღოლი და ყურადღებით უთვალევრებს ქალიშვილს ხელისგულის ხაზებს, – ძალიან გრძელი სიტოცხლის ხაზები გქონიათ, დაჯექით.

ავტომობილი დაიძრა და გაკვირვებული ქალიშვილი ეკითხება:

- რატომ დაგაგულისყურათ ჩემი ხელისგულის ხაზებმა?
- იმიტომ, რომ ჩემს მანქანას მუხრუჭები არ უფარგა.

ზუსტი მისამართი

ექიმისგან დაბრუნებული ცოლი ქმარს უყვება:

- ექიმმა მირჩია წლეულს აუცილებლად შავ ზღვაზე სადმე დაისვენეთო. რას ფიქრობ, რომელი ადგილი ავირჩიო?
- სხვა ექიმთან მიდი.

შორსმჭვრეტელი

- ყველაზე ძალიან რა მოგნონს შენი სასიძო კოლიასი?
- შორსმჭვრეტელობა. ჯერ ცოლი არ მოუყვანია და უკვე გაყრისთვის ფულის შეგროვება დაიწყო...

<p>საქართველო</p> <p>საქართველო</p>	<p>უხსოვარი პალატის კარსი:</p> <p>აუზ ფონი - 2.4427; პირი - 3.0150;</p> <p>ბრიტანული ბიკანა სტარლინი - 3.3993;</p> <p>100 რუბლი - 4.2305; თურქული ლირა - 0.6428;</p> <p>ანკარაპიკანული მანათი - 1.4406;</p> <p>1000 სომხური დრამი - 5.0678.</p>	<p>აიენი 15 თებერვლისთვის</p> <p>აღმოსავლეთი საქართველო:</p> <p>ბარა - ლაპი 0, ლაპი +10</p> <p>მთიანი რაიონები - ლაპი -6, ლაპი +9</p> <p>დასავლეთი საქართველო:</p> <p>ბარა - ლაპი +3, ლაპი +18</p> <p>მთიანი რაიონები - ლაპი -3, ლაპი +14</p> <p>თბილისი: ლაპი +2, ლაპი +8</p>	<p>დაავიკაპათ, მოგვანათ:</p> <p>ტელ: 293-13-34,</p> <p>599-79-76-79</p> <p>ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge</p>
--	--	---	--